# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ხალხის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 8 დეკემბერი, 2011 წელი.

№231 (6862)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## „ბანკი ქართუს“ გამკოტრებლები და გაშიფრული მერაბიშვილი და კოდუები

3

## ბორის ახუნინის წერილი ვლადიმერ პუტინს: წასულიყავით, ვიდრე დრო გაქვთ

8



## რატომ აღარ ეუბნებიან გურიაში მადლობას პატრულს

4





6

მომკალით და, ვერასგზით ვერ ავხსენი — რატომ არის სუყველაფრის გამხსნელი...

## ხეები ფეხეხრად ხმებიან...

9

## მდუღარე რეგიონი

5



## „საოცარი ბავშვის“ მუსიკალური და დედობრივი მშვენიერება

9



№ 231. ხუთშაბათი, 8 დეკემბერი, 2011 წელი.

კანონმდებლები

# რად შეუყვარდა ხელისუფლებას მაჟორიტარები?

**პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე დეპუტატთა რაოდენობის გაზრდის გადაწყვეტილების გადახედვას პოლიტიკაში ძლიერი მოთამაშის გამოჩენას უკავშირებს, რის გამოც, ხელისუფლებას ურჩევნია, აქცენტი მაჟორიტარებზე გააკეთოს.**



– სააკაშვილმა ხომ თქვა, გამოგვაფხიზლებს და უფრო ფორმაში ჩაგვაყენებს ახალი მოთამაშეო; მას მიაჩნია, რომ ეს ახალი მოთამაშე არის იმ ძალის მქონე, რომ ხელისუფლებაში ძალთა მობილიზაცია გამოიწვიოს. შესაბამისად, ასეთი მობილიზაციის ერთ-ერთი ფრაგმენტი შეიძლება იყოს ეს საკანონმდებლო ნაბიჯი, – განაცხადა საყვარელიძემ.

მისივე განმარტებით, დეპუტატთა რაოდენობის 190-ით გაზრდის ვარიანტში მაჟორიტარების წილი, რომელიც დღეს მოქმედი კანონის მიხედვით მთლიანი პარლამენტის სტრუქტურაში უფრო მეტია, მცირდებოდა და ემატებოდა პროპორციული, ანუ პარტიული სიებით აღებული მანდატები.

„თუკი ამ კუთხით შევხედავთ, ანუ 150-კაციან პარლამენტში მაჟორიტარების წილი თუ მეტი იქნა, მაჟორიტარების კონტროლი ხელისუფლებისთვის უფრო ადვილია, ვიდრე – ოპოზიციისთვის. ამიტომ დღეს, როდესაც პარტიული ოპონენტი უფრო ძლიერი ჰყავს ხელისუფლებას, ურჩევნია მაჟორიტარებზე გააკეთოს აქცენტი, – აღნიშნა საყვარელიძემ.

ექსპერტის აზრით, სწორედ მაჟორიტარებზე ყურადღების გადატანა იყო ამ პოლიტიკის შეცვლის მიზეზი.

მიმდინარე წლის ზაფხულში ხელისუფლებასა და ოპოზიციის გარკვეულ ნაწილს შორის მიღწეული შეთანხმება, დეპუტატათა რაოდენობის 150-დან 190-მდე გაზრდის შესახებ, გუშინ პარლამენტში დაპირისპირების საგანი გახდა. ამის შემდეგ „ქრისტიან-დემოკრატები“ საკითხის განხილვის შეჩერების ინიციატივით გამოვიდნენ. მოგვიანებით კი, „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მზადყოფნა გამოთქვა, დეპუტატთა რაოდენობის შესახებ გადაწყვეტილება გადაიხედოს.

გადასახადი

# რას გულისხმობს დაბეგვრის ახალი ფორმა?

**როგორც გუშინ გამართულ ბრიფინგზე შემოსავლების სამსახურის უფროსმა ჯაბა ებანოიძემ განმარტა, შემოსავლების სამსახურის ინიციატივით, უახლოეს მომავალში, მცირე მეწარმეებს საშუალება ექნებათ, დაბეგვრის ალტერნატიულ ფორმაზე გადავიდნენ, საუბარია ფიქსირებულ გადასახადზე.**

ჯაბა ებანოიძის განმარტებით, ფიქსირებული გადასახადის პირველი მოდელით ის მცირე მეწარმეები ისარგებლებენ, რომლებიც ეწევიან არა იურიდიული, არამედ ფიზიკური პირების მომსახურებას. მათ არ სჭირდებათ იურიდიული პირებისთვის ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტისა და ანგარიშფაქტურის გამოწერა. გადასახადის ასეთი ფორმის არჩევის შემთხვევაში ამ კატეგორიის მეწარმეებს მოეხსნებათ სალარო აპარატის გამოყენების აუცილებლობა, საბუღალტრო დოკუმენტაციის წარმოების ვალდებულება და აღარ დაიქირავებენ ბუღალტერს. ისინი დაიბეგრებიან კონკრეტული განაკვეთით თვეში ან კვარტალში. რაც შეეხება განაკვეთებს, ამას მთავრობა განსაზღვრავს საქმიანობის ტიპისა და ადგილმდებარეობის მიხედვით.

შემოსავლების სამსახურის უფროსი ამბობს, რომ ამ მოდელით სარგებლობას შეძლებენ ისეთი საწარმოები, მაგალითად, როგორებიცაა მცირე საპარიკმახერო, ავტომობილების მცირე სახელოსნო, მცირე პურის საცხობი და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ალტერნატიული გადასახადის მეორე მოდელი მორგებულია იმ მეწარმეებზე, რომლებიც ეწევიან ვაჭრობას და მათი მომხმარებლები არიან, ასევე ფიზიკური პირები. ამ ტიპის მეწარმეებსაც არ აქვთ შეხება იურიდიულ პირებთან და შესაბამისად არ საჭიროებენ იურიდიული პირებისთვის ხარჯის დამადასტურებელ დასხვა საგადასახადო დოკუმენტაციის გამოწერას.

ასეთი კატეგორიის მეწარმეებისთვის იქნება ფიქსირებული გადასახადი ბრუნვის 3%-ის ოდენობით. პირველი მოდელით მოსარგებლეებისგან განსხვავებით, მათ ექნებათ სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულება, რადგან 3%-იანი გადასახადის დაანგარიშება მოხდება სალარო აპარატით დაფიქსირებული შემოსავლიდან.

კიდევ ერთი შეღავათი, რომლითაც ორივე კატეგორიის მეწარმეები ისარგებლებენ, ისაა, რომ გაუქმდება 100 000 ლარიანი ზღვარი დღგ-ს გადამხდელად აღრიცხვისთვის. მეწარმეს შეეძლება, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მისმა შემოსავალმა წელიწადში გადააჭარბა 100 000-იან ზღვარს, გააგრძელოს ფიქსირებული გადასახადის გადახდა და არ გახდეს დღგ-ს გადამხდელი, – აცხადებს ებანოიძე.

**ჯი-ეიჩ-ენი**

სარჩელი

# „ტფილისის ჰამქარმა“ „იმელის“ შენობასთან დაკავშირებით სასამართლოში სარჩელი შეიტანა

**არასამთავრობო ორგანიზაცია თბილისის საქალაქო სასამართლოში საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 20 ივნისის 33/145 ბრძანებას ასაჩივრებს, რომლის საფუძველზეც „იმელის“ შენობას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მოეხსნა.**

ორგანიზაცია აღნიშნული ბრძანების ბათილად ცნობას და შენობისთვის სტატუსის აღდგენას მოითხოვს.

როგორც „ტფილისის ჰამქრის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის (2007 წლის 8 მაისიძ მე-17 მუხლის თანახმად, ძეგლისათვის სტატუსის მოხსნა შესაძლებელია მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს შესაბამისი დასკვნის საფუძველზე იმ შემთხვევაში, თუ იგი განადგურდა, ან ისე დაზიანდა, რომ ისტორიული ან კულტურული ღირებულება დაკარგა, რომლის აღდგენა შეუძლებელია ან, მეცნიერული (მეთოდოლოგიურიძ კრიტერიუმებით, დაკარგა ის ძირითადი მახასიათებელი, რომლის გამოც მას მიენიჭა ძეგლის სტატუსი.

„ჰამქრის“ წარმომადგენლების განცხადებით, საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს შესაბამისი ოქმი და დასკვნა არ არსებობს, რაც სამინისტროს ოფიციალური წერილითაც დასტურდება.



მათივე თქმით, დარღვეულია ადმინსტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა და გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, რაც საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძველია.

**ინტერპრესნიუსი**

სარედაქციო ფოსტიდან

# იხარე მიშა, მოკვდი საქართველო?!

**საქართველოში დღესაც დავობენ „ჭეშმარიტება თუ სამშობლო“. მე ახლაც ჭეშმარიტების გვერდში ვდგავარ, რამდენადაც ჭეშმარიტებაა, რომ საქართველო 35 საუკუნისაა, ჩვენ კი საქართველოს შვილები, ჰოდა საკითხიც აქ მთავრდება. რამდენადაც ჩვენი სამშობლო საქართველოა, არის მეორე ჭეშმარიტება – ქურდს, ავაზაკსა და სატანას ეროვნება არ გააჩნია, აქაც ამ ჭეშმარიტებას ვუჭერ მხარს.**

ახლა საქმეზე. ადრე ვწერდი, რომ 21 ოქტომბრიდან, აგერ უკვე თვენახევარი ხდება, დენი მაქვს გათიშული, რა მიზეზით? იმ უბრალო მიზეზით, რომ დღეს საქართველოში ავაზაკები ბატონობენ და რომ სატანიზმს აქვს ფეხი გადგმული. აგერ შეხედეთ კომუნალური გადასახადების დინამიკას. სამი წელია აკურატულად ვიხდი დენის, წყლის და გაზის გადასახადს. როგორც I ჯგუფის უსინათლო ინვალიდს წყალზე ყოველთვის მქონდა შეღავათები, რომელიც მხოლოდ სააკაშვილმა, თავისი მოსვლის შემდეგ, გამიუქმა. მიუხედავად ამისა, დინამიკიდან ჩანს, რომ უკანასკნელი სამი წლის მანძილზე უშეღავათო წყლის გადასახადს ვიხდიდი აკურატულად. ადრეული საბუთები გადაყრილი მაქვს და არ ვიცი, შეიძლება ადრეც ასევე ვიხდიდი, მაგრამ რამდენადაც ჩემი საბუთები ვერ წარვადგინე, თვითონ არ დამიდასტურეს, თუმცა სამი წლის წინანდელზე ახლა მედავებიან... ცოტა არ იყოს ეს უზნეობაა. რაც შეეხება ნაგავს, როცა ამა წლის 19 აპრილს ასევე გამითიშეს დენი, მას მერე ნაგვის ფულს ვიხდი პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, ასე რომ, კანონმორჩილების თვალსაზრისით, მე, ქართლოს ზაქარეიშვილი, I ჯგუფის უსინათლო ინვალიდი, სმენადაქვეითებული, სამი ინფარქტის შემდეგ გულის ნაოპერაციევი, შუნტირება 4 შუნტით, დიაბეტით და კიდევ სხვა მრავალით, აბსოლუტურად მორჩილი პიროვნება ვარ. სხვა საკითხია მონამორჩილების მიმართ ჩემი შეურიგებლობა.

როგორც ჩანს, სააკაშვილი რომ დაიბადა, ღმერთმა ბავშვის თავის, იმ უჯრედში, სადაც მოვალეობა იდება, დაავიწყდა ამ კომპონენტის ჩადება (ნუ, რას ვიზამთ, ნათქვამია, ერთხელ შეცდომა ღმერთსაც მოუვაო“ და სწორედ აქ დაუშვა მან საბედისწერო შეცდომაძ. მერე, როცა გაურკვეველ ვითარებაში ეს ბავშვი პრეზიდენტი გახდა და როცა ევროკონვენციას ხელს აწერდა, მან გამოტოვა თავისი ხელმოწერა, სადაც ვალდებულებებია მოცემული და მივიღეთ ის, რომ სააკაშვილი აღიჭურვა „ვსეპრავით“ („ვსეპრავა“ – ეს ტერმინი ემახსოვრება იმათ, ვისაც ბავშვობაში კოჭი უთამაშიაძ, მეტი რაღა უნდოდა სააკაშვილს და დღესაც ამ „ვსეპრავით“ თამაშობს კოჭს. აბა, მეტის გამკეთებელი, გარდა ჯიბრისა და ბოროტებისა, სააკაშვილის გაკეთებული არც მე და არც ღმერთს არ უნახავს. დღეს საქართველოში ერთადერთი ლოზუნგია „იხარე მიშა, მოკვდი საქართველო“.

ასე გადაშენდა თავის დროზე უზნეო ხელისუფლების პირობებში შიდა კინკლაობისა და მეზობლებთან გაუთავებელი ომების შედეგად ერთ დროს შუამდინარეთის უძლიერესი ქვეყანა ბაბილონი, ასეთივე ბედი ეწია ფარაონების ეგვიპტესაც... დღეს რიგში საქართველოა.

გიხაროდენ!

**ქართლოს ზაქარეიშვილი**

**P. S. იმის გამო, რომ საგადასახადო დინამიკა (2009 წლიდან დღემდე) გაართულებდა საგაზეთო მასალის აღქმას, ამ წერილს არ ვურთავ, მაგრამ მკითხველმა უნდა იცოდეს (ბევრი, ალბათ ჩემს მდგომარეობაშია!), რომ ნაგვისა და წყლის დენეზე მიბმა და ამ კუთხით მკაცრი სანქციების დაწესება ყოვლად დაუშვებელია და წამების ტოლფასია თვით ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის თანახმად. ასე რომ, იმედია, ამ ჩემს დროულ სამოქალაქო შენიშვნას აუცილებლად გაითვალისწინებს თბილისის საკრებულო, რომელსაც ბევრი თბილისელი უკვე სასამართლოში უჩივის აღნიშნული გაუგონარი უკანონობის გამო.**

**ქ. ზ.**

იშვიათი შენაძენი

# ეროვნულმა ბიბლიოთეკამ უიშვიათესი გამოცემა შეიძინა

**საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის კვლევებისთვის მნიშვნელოვანი, უიშვიათესი გამოცემა, ცნობილი რუსი კოლექციონერის მიხეილ ბოტკინის მიერ 1911 წელს გამოცემული „სობრანიე“ შეიძინა.**

წიგნი რუსი კოლექციონერის პირადი კოლექციის კატალოგია, რომელიც ძალიან მცირე ტირაჟით დაიბეჭდა და საქართველოს მოქალაქეთათვის მიუწვდომელი იყო.

სანკტ-პეტერბურგში გამოცემულ „სობრანიეს“ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მკვლევარებისთვის განსაკუთრებულად დიდი მნიშვნელობა შემდეგი მიზეზით აქვს: საქართველოში რუს არქიეპისკოპოს ევსევის (ივლინსკიძ მოღვაწეობის პერიოდში, საეკლესიო ქონების დაკარგვა განსაკუთრებულად ხშირი მოვლენა იყო. ივლინსკის ხელშეწყობით, ქართული საეკლესიო ქონება რუსი კოლექციონერების კერძო კოლექციებში ხვდებოდა. მაგალითად, 1860 წელს ივლინსკის დახმარებითა და მფარველობით, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა ლევაშოვმა გელათის მონასტერში დაცული ხახულის ღვთისმშობლის ხატი გაძარცვა, კერძოდ, ღვთისმშობლის ტიხრულ მინანქარში შესრულებული ხატი და მინანქრის სხვა უნიკალური ნამუშევრები მოიპარა და იმ პერიოდში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ რუს კოლექციონერს, მიხეილ ბოტკინს მიჰყიდა.

1911 წელს ბოტკინმა გამოსცა კატალოგი „სობრანიე“, რომელშიც მისი კოლექციის ყველაზე მნიშვნელოვანი ნიმუშები არის წარმოდგენილი. მათ შორის, საქართველოდან მოპარული და გაზიდული ქართული ტიხრული მინანქრის სრული კოლექცია (კატალოგში შეგნებულად აღწერილია როგორც ბიზანტიური მინანქარიძ. 1920 წელს ნაციონალიზებული ბოტკინის კოლექცია რუსეთის სხვადასხვა მუზეუმებში გადანაწილდა. დიდი ნაწილი ერმიტაჟს გადაეცა. საქართველოში მოღვაწე მეცნიერები მოითხოვდნენ საქართველოდან მოპარული ტიხრული მინანქრის სამშობლოში დაბრუნებას, რასაც ეწინააღმდეგებოდნენ რუსი მეცნიერები.

საკითხი საბოლოოდ ქართული მხარის სასარგებლოდ გადაწყდა და ხელოვნების ნიმუშები სა-



ქართველოს გადაეცა. ისინი ხელოვნების მუზეუმში ინახება, თუმცა კოლექცია არასრულყოფილია. მიხეილ ბოტკინის კატალოგში წარმოდგენილი ექსპონატების ნაწილი დაკარგულია. ეს გარემოება ამ გამოცემას ქართველ მკვლევართათვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის.

ბოტკინის „სობრანიე“ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გუშინ გამოიფინა.

**ინტერპრესნიუსი**

თეთრი ძაფით ნაკერი სატინა

# არა მარტო სასაცილო, სახარხაროც კი... სატირალი რომ არ იყოს

## „ბანკი ქართუს" გამკოტრებლები და გაშიფრული მერაბიშვილი და კოდუები



**ინკასაციის მანქანის დაყაჩაღებით დაწყებული, საკანონმდებლო ბერკეტებით დასრულებული, ივანიშვილის წინააღმდეგ ყველა რეპრესიული მექანიზმი ჩართულია. ივანიშვილისთვის ბოლოს მოსაღებად ქვეყანაში ახალი კანონებიც კი იქმნება. ხელისუფლებამ ბიძინა ივანიშვილის ბანკ „ქართუს" ხელოვნურად გაკოტრების პროცესი უკვე დაიწყო.**

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" კანონში სასწრაფოდ შევიდა ცვლილებები, რომელთა მიხედვით, **„მოვალის საგადასახადო გირავნობით-იპოთეკით დატვირთული, ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილება როდესაც აღსრულდება, საკუთრების გადასვლის შედეგად (მათ შორის სახელმწიფოსთვის ქონების ნატურით გადასვლის შედეგად) უქმდება ყველა სანივთო უფლება, რომელიც რეგისტრირებულია იმ ვალდებულების წარმოშობის შემდეგ, რომლის საფუძველზეც ქონებაზე გავრცელდა საგადასახადო გირავნობა-იპოთეკის უფლება".**

ჩვეულებრივი მოკვდავისთვის ამ გაუგებარი კანონპროექტის დედააზრი რომ მეტად მზაკვრული იყო, თავიდანვე ჩანდა. **სპეციალისტები ვარაუდობდნენ, რომ ეს კანონი სამ თვეში დააქცევდა საბანკო სისტემას, უპირველესად კი „ქართუ ბანკს".**

საპარლამენტო უმრავლესობა კანონპროექტის მიღების აუცილებლობას კეთილსინდისიერი მყიდველის ინტერესების დაცვით ხსნიდა. ამბობდნენ, კანონპროექტის მიზანი ის არის, რომ თუ პირი დაყადაღებულ ქონებას შეიძენს, მას ეს ქონება ვალდებულებებისგან თავისუფალი გადაეცეს და არ დაზარალდესო.

თუმცა, „ქართუ ბანკის" პრეზიდენტი ნოდარ ჯავახიშვილი თავიდანვე ვარაუდობდა, რომ ეს კანონი მხოლოდ „ქართუ ბანკისთვის" იყო შექმნილი და მას „ქართუ ბანკის" კლიენტების მეშვეობით აამოქმედებენ.

ნოდარ ჯავახიშვილი ამბობდა: **„ვთქვათ, რომელიმე კლიენტისთვის სესხად მაქვს მიცემული 2 მილიონი. მას სესხის უზრუნველსაყოფად 3 მილიონის ქონება აქვს ჩადებული. მოგეხსენებათ, „ქართუ ბანკი" სამომხმარებლო სესხებს არ იძლევა, მხოლოდ მსხვილ ბიზნესს აქვს აღებული. შევა საგადასახადო ამ ბიზნესმენების ორგანიზაციაში, აღმოაჩენს რაღაც დარღვევას და დაარიცხავს ჯარიმას, ვთქვათ, 500 000-ს. ამ კანონის გამო, ბიზნესმენს აწყობს, არ გადაიხადოს ჯარიმა და მისი ქონება აუქციონზე გაყიდოს სახელმწიფომ. ამ კანონის თანახმად, აუქციონზე ამონაგებ თანხას ფინანსთა სამინისტრო წაიღებს, ბანკის ვალი კი ვალად დარჩება, რადგან ჩვენს ბანკში ჩადებულ ქონებას სახელმწიფო გაყიდის. შესაბამისად, ახალი მყიდველი თავისუფალი იქნება ყოველგვარი ვალდებულებისაგან".**

**— ასეთი სქემა რაში აძლევს ხელს ქონების პატრონს, ის ხომ ქონებას დაკარგავს?**

— პირიქით, ეს იქნება ძალზე მაცდუნებელი წინადადება იმ პირებისთვის, ვისაც სესხები აქვთ აღებული ბანკში. სქემა კი ასეთი იქნება: გაუყიდიან ქონებას აუქციონზე, მას მობილიზებული ეყოლება ეგრეთ წოდებული „პადსტავნოი" პირი და თვითონვე შეისყიდის აუქციონზე გატანილ თავის ქონებას რეალური ღირებულების 25, მაქსიმუმ 50%-ად. ქონების მფლობელი არაფერს დაკარგავს, პირიქით, მოიგებს. ქონებას იმის ნახევარ ფასად დაიბრუნებს, რაც სესხის სახით ბანკში აქვს გადასახდელი..."

**„ქართუ ბანკიდან" სოლიდური სესხები ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მათი ოჯახის წევრებსაც აქვთ აღებული. მაგალითად, ერეკლე კოდუას დედას, ლაურა ღაჭავას 15 მილიონზე მეტი აქვს გატანილი. სოლიდური სესხები ჰქონიათ ხელისუფლებასთან დაახლოებულ სხვა პირებსაც.**

ჯავახიშვილი თავიდანვე წინასწარმეტყველებდა, რომ „ქართუს" ამ სქემის ამუშავების შემთხვევაში, პრაქტიკულად არც ერთი სესხის დაფარვის პერსპექტივა არ ექნებოდა. სესხის დაფარვის გარდა, სხვა პრობლემაც იქმნებოდა — ეროვნული ბანკის ნორმატივებიდან გამომდინარე, არაუზრუნველყოფილი სესხის წარმოქმნა ავტომატურად მოითხოვს არაუზრუნველყოფილი სესხის ოდენობის თანხის დარეზერვებას ბანკის რესურსებიდან. გარდა იმისა, რომ „ქართუ ბანკი" ამ პროექტით კარგავს მრავალმილიონიანი სესხების ამოღების საშუალებას, ერთი იმდენი იქით უნდა დადოს, რომ არ დაირღვეს ეროვნული ბანკის ნორმატივები და ბანკი არ დაიხუროს.

ჯავახიშვილის საფუძვლიანი ეჭვები ძალიან სწრაფად იქცა რეალობად. **ამ ერთი კვირის წინათ „ქართუს" განკულაკების სპეცოპერაცია დაიწყო.**

**ოთხ ბიზნეს-ჯგუფს, რომელშიც 14 იურიდიული და ფიზიკური პირი შედის, საგადასახადოს მოთხოვნით 100 მილიონი ლარის ღირებულების ქონება დაუყადაღეს, რითაც არაუზრუნველყოფილი დატოვეს „ბანკი ქართუს" 70 მილიონი ლარის საკრედიტო ვალდებულებები, რაც ბანკის საერთო საკრედიტო პორტფელის თითქმის 20 პროცენტია.**

**იმ კომპანიების ქონება, რომლებზეც საგადასახადო ორგანოს არ შეეძლო (ძველი რიცხვით „ბანკი ქართუს" პირველადი იპოთეკის რეგისტრაციამდე) აღმოეჩინა საგადასახადო დავალიანება, დაჩქარებული წესით განვადებით გასხვისდა ისეთ კომპანიებზე, რომლებსაც აღმოუჩინეს, ან უკვე ჰქონდათ ღირებული საგადასახადო დავალიანება.**

**ნოდარ ჯავახიშვილი: — ფაქტია, რომ ეს იყო ფიქციური, თაღლითური გარიგებები. საქმე ისაა, რომ ნასყიდობის ფასიც არ არის ამ გარიგებებში გადახდილი. ამ ხელშეკრულებების საფუძველზე ქონების ფასი მყიდველმა მომავალში უნდა გადაიხადოს, ერთ წლის შემდეგ, ან განვადებით. ბუნებრივია, ეს ბადებს საფუძვლიან ეჭვს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებები თაღლითურია და ისინი მხოლოდ „ბანკი ქართუსთვის" განსაკუთრებით დიდი ფინანსური ზარალის მიყენების მიზნით დაიდო. ფაქტია ისიც, რომ ხსენებული ნასყიდობის ხელშეკრულებები გაფორმდა ბიზნეს-ჯგუფში შემავალ კომპანიებს შორის (ანუ ერთი და იგივე ბიზნეს-ჯგუფმა ერთი საგადასახადო ვალდებულებებისაგან თავისუფალი კომპანიის ქონება მიჰყიდა მეორე საგადასახადო ვალდებულებით დატვირთულ კომპანიას). ჩვენთვის ცნობილი გახდა ისიც, რომ გასულ კვირას ბანკის უმსხვილესი მსესხებლის ბიზნეს-ჯგუფის აქციონერმა მიაღწია საინტერესო შეთანხმებას. ეს აქციონერი ამ უკვე დაყადაღებულ და სახელმწიფოს სასარგებლოდ საჯარო აუქციონზე გასატან ქონებას 2012 წლის მარტიდან ერთ-ერთ პირზე აქირავებს. ბუნებრივია, აქ საეჭვოც არაფერია, ფაქტია, ხსენებულ აქციონერს პირობა აქვს მიღებული „ჩამორთმეული" ქონების უპირობოდ დაბრუნებისა.**

**ვინ არიან ის აქციონერები და მსესხებლები, ვინც ამ თაღლითურ გარიგებაში იღებენ მონაწილეობას?**

— ამის თქმის უფლება არ მაქვს. ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა. იმის მიუხედავად, რომ „ქართუში" არ დააკონკრეტეს, ვინ დგას ხელისუფლებასთან გარიგებულთა რიგებში, წარმოდგენილი სიის შესწავლის საფუძველზე ბევრი რამ გავარკვიეთ. **აღმოჩნდა, რომ იმ ობიექტთა სიაში აუქციონზე საგადასახადო ვალდებულებებში ამოღების საბაბით, გადის კოდუების ოჯახის და ვანო მერაბიშვილის ქონებები. იმის დაჯერება, რომ კოდუებს ან ვანო მერაბიშვილს დღევანდელ საქართველოში საგადასახადო ვალდებულებების გამო ქონებას აუქციონზე უყიდიან, თვით ყველაზე მიამიტ ადამიანსაც გაუჭირდება.**

**გთავაზობთ ამ ქონების ჩამონათვალს.**

### სესხის უზრუნველყოფის ობიექტები:

**სამკერვალო ფაბრიკა — „ლაურა ღაჭავა";**

**პირიმზის შენობა, კომერციული ფართი, (სააქციო საზოგადოება პირიმზე);**

**საოფისე ფართი ჭავჭავაძის 60 (სააქციო საზოგადოება ეკრანი);**

**ქავთარაძის ქუჩა ნომერ 16-ში მდებარე საავადმყოფო, (სააქციო საზოგადოება სამკურნალო ობიექტი);**

**ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე ორი საოფისე შენობა;**

**მელიქიშვილის ქუჩაზე მდებარე ორი საოფისე შენობა.**

**ზემოჩამოთვლილი უძრავი ქონება კოდუებს „ბანკ ქართუში" ჰქონდათ დაგირავებული რამდენიმე მილიონიანი სესხის სანაცვლოდ. ბოლო ერთ კვირაში მოხდა ამ ფართების გადაყიდვა, ასე ვთქვათ, განვადებით და ის საგადასახადო ვალდებულების მქონე „შპს 1+1" და კავკასიის უძრავი ქონების ჯგუფს მიეყიდა. ეჭვს არ ბადებს ის ფაქტი, რომ ეს ქონება კოდუების ოჯახს ეკუთვნის. ლაურა ღაჭავა ერეკლე კოდუას დედაა.**

ასევე თვალთმაქცური გარიგების საფუძველზე მოხდა ბანკის გირაოს ქვეშ მყოფი 7 ობიექტის გადაყიდვა საგადასახადო ვალდებულების მქონე ობიექტებზე: ბათუმის ზეთის ქარხანა და სოფელ გონიოში არსებული მიწა შენობა-ნაგებობით, რომელიც შპს ახალსოფლის მეცხოველეობის კომპლექსს" ეკუთვნის.

ახალციხეში მდებარე შენობა, რომელიც შპს „ვია-ესტ-ვიტას" ეკუთვნის, მუხიანის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთი, შპს „ხოხობის" კუთვნილება, ახალციხეში, სოფელ სხვილისში მდებარე საკონსერვო ქარხანა, მიწის ნაკვეთი, თბილისი დილმის სასწავლო ცენტრი, ერისთავის ქუჩა №2-ში მდებარე მშენებარე სავაჭრო ცენტრი, ეს სამი ობიექტი შპს. „ქაუქუას სირიალ კომპანის" საკუთრებაში იყო. **კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, ამ ობიექტების უკან შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი დგას.** ეს ობიექტები ასევე ბოლო ერთი კვირის მანძილზე სასწრაფო წესით გადაიყიდა იმ კომპანიებზე, რომელთაც აღიარებული საგადასახადო ვალდებულებები ჰქონდათ.

მაგალითად, ბათუმის ზეთის ქარხანა გაიყიდა საგადასახადო ვალდებულებების მქონე შპს „ბათოილზე", სოფელ გონიოში არსებული მიწა შენობა-ნაგებობით გადაიყიდა შპს ახალსოფლის მეცხოველეობის კომპლექსზე, ახალციხეში მდებარე საკონსერვო ქარხანა — შპს „მესხეთი თრეიდინგზე", შპს „გრემფილდ ჯორჯიას" მიერ სესხის უზრუნველყოფა — სახლები და კომერციული ფართები გადაიყიდა შპს „მალი ჯგუფზე (ავტოსადგომები და კომერციული ფართები).

აუქციონზე გადის ასევე შპს „ლოგოს" ქონება (საცხოვრებელი ფართები), რომელიც ჩვენი ინფორმაციით ბიზნესმენთა ასოციაციის ყოფილ პრეზიდენტს გიორგი ისაკაძეს ეკუთვნის.

Presage.tv დაუკავშირდა ლაურა ღაჭავას:

**— ქალბატონო ლაურა „ქართუში" თქვენ რამდენიმე მილიონიანი სესხი გაქვთ, თქვენი საბანკო გარანტია (უძრავი ქონება) კი ცოტა ხნის წინათ გაიყიდა კავკასიის უძრავი ქონების ჯგუფზე, რაც არ გაყიდულა — აუქციონზე გადის და იქნებ აგვიხსნათ რას ნიშნავს ეს ყოველივე?**

— არ ვიცი იცით, რა იყიდება?

**— როგორ თქვენი ქონება საგადასახდო ვალდებულებების გამო აუქციონზე იყიდება და არ იცით?**

— არ იყიდება ჯერ. „ქართუ ჯგუფმა" სხვანაირად იცოდა და დღეს მოლაპარაკება მქონდა და ზეგისთვის გავერკვევი სიტუაციაში. გავერკვიო უნდა და საერთოდ ახლა სტუმრები მყავს იტალიელები. არ ვიცი ჯერ, სიტუაციაში უნდა გავერკვე.

ვიდრე ქალბატონი ლაურა „სიტუაციაში გაერკვევა" ჩვენ სიტუაციის გარკვევა ისევ ნოდარ ჯავახიშვილთან ვცადეთ.

**— „რაღაში უნდა გაერკვეს, ნუ მომკალით სიცილით, ან რა მოლაპარაკებაზე შეიძლება იყოს საუბარი, როცა ქონების უზრუნველსაყოფად აღარაფერია დარჩენილი"?** — ასეთი იყო ნოდარ ჯავახიშვილის პასუხი.

**ხათუნა პაიჭაძე**

ინფორმაცია

### როგორ მუშაობს თაღლითური გარიგების სქემა?

**გუშინ გამართულ ბრიფინგზე ცაგარეიშვილმა თაღლითური სქემის დეტალებზე ისაუბრა. მან ამ სქემის ამოქმედების საფუძვლად პარლამენტის მიერ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებები დაასახელა. ცაგარეიშვილის თქმით, აქამდე, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციისას, უწინარესად საბანკო ვალდებულებები იფარებოდა, შემდეგ კი სახელმწიფოსი. საკანონმდებლო ცვლილებებით კი, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის უწინარესად ინსტიტუტის ვალდებულება იქნება გასტუმრებული, რომლის წარმოშობის საფუძველიც უფრო ადრე არსებობდა.**

**ცაგარეიშვილმა ორი მაგალითი მოიყვანა, რომელიც „ქართუს" წინააღმდეგ არის მიმართული. მისი თქმით, „ქართუს" კრედიტორი იყო „კავკასიის უძრავი ქონების ჯგუფი", რომლის დამფუძნებლები არიან შპს „ბულიტები" და შპს „საჩოგბურთო კლუბი დინამო". თავის მხრივ, „საჩოგბურთო კლუბ დინამოს" 98 %-ის მფლობელია ლაურა ღაჭავა, ხოლო „ბულიტების" მფლობელი, იგივე ღაჭავაა 100%-ით.**

**ცაგარეიშვილის თქმით, ახალი საკანონმდებლო რეგულაციების ძალაში შესვლისთანავე, „კავკასიის უძრავი ქონების ჯგუფმა" გააფორმა თაღლითური და თვალთმაქცური გარიგება სააქციო საზოგადოება „პირიმზესთან", რომლის აქციების 49,99% ლაურა ღაჭავას ეკუთვნის, ხოლო 45, 97% მის მეუღლეს ნოდარ კოდუას.**

**ცაგარეიშვილის განმარტებით, კანონმდებლობით, თაღლითური გარიგება გულსიხმობს ქონების გადამალვას მოჩვენებითი ანდა თვალთმაქცური გარიგებით, რომელიც ჩადენილია მოსალოდნელი ან/და უკვე არსებული ქონებრივი ვალდებულებისთვის თავის არიდების მიზნით. ასეთი ქმედებისთვის სასჯელი არის 6 და 9 წლამდე.**

**ცაგარეიშვილმა აღნიშნა, რომ ამ თვალთმაქცური გარიგებისთანავე, ამოქმედდა ახლებური წესი, რითიც იპოთეკისა და გირავნობის მოთხოვნის უპირატესი უფლება აქვს სახელმწიფოს, საგადასახადო ორგანოებს სახით.**

ჯი-ეიჩ-ენ

განსჯა

# პოლიტიკურ-ფსიქიატრიული ექსპერიმენტი

**...დეპუტატების რაოდენობის 150-დან 190-მდე გაზრდა, სავარაუდოდ, ისევე კრახით დასრულდება, როგორც — ქვეყანაში ერთიანი ოპოზიციის ჩამოყალიბების მრავალწლიანი სურვილი.**

ვიდრე ამ ვარაუდს საბოლოოდ დაადგება ნათელი, დავიწყოთ იმით, რაც პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებებზე 6 დეკემბრის დებატებს მოჰყვა.

ჯონდი ბაღათურიამ და დიმიტრი ლორთქიფანიძემ საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი, რომელიც დეპუტატთა რაოდენობის 190-მდე გაზრდას ითვალისწინებს, კიდევ ერთხელ პარლამენტის ტრიბუნიდან შეაფასეს უკანონობად და საპარლამენტო უმცირესობას „გონს მოგებისკენ" მოუწოდეს.

**„სანამ დროა, გონს მოეგეთ, რადგან ძალიან დიდია ის ტვირთი პასუხისმგებლობისა, რომელსაც საზოგადოება უკვე თქვენ გაკისრებთ",** — მიმართა ოპოზიციონერ კოლეგებს დიმიტრი ლორთქიფანიძემ. გონს მოგებამდე კი, მიკროფონის გარეშე, ერთმანეთს დიმიტრი ლორთქიფანიძე და მის მიერ შერისხული უმცირესობის წევრი ნუგზარ ერგემლიძე სიტყვიერად დაუპირისპირდნენ. ლორთქიფანიძეს, ასევე უმიკროფონოდ, ლევან ვეფხვაძე შეეპასუხა, ამ დროს კი ლორთქიფანიძეს, მისივე თანაფრაქციელი, უმრავლესობის ყოფილი წევრი თამაზ დიასამიძე გამოექომაგა. სიტყვაძუნწად ცნობილი თამაზ დიასამიძის „ხმის ამოღებას" კი, ლევან ვეფხვაძის წამოხტომა და, რბილად რომ ვთქვათ, არც თუ კორექტული შეძახილები მოჰყვა.

ამ დროს კი, უმრავლესობა მშვიდად ქილიკობდა. **„არა გრცხვენიათ, ბიჭო? რა გაჩხუბებთ?",** პედაგოგიური ტონით ამბობდა დეპუტატი კახა სუხიშვილი.

ჩხუბი და ერთმანეთის „აქეთ-იქეთ გაშვება" იმით დასრულდა, რომ „ქრისტიან-დემოკრატები" გაცხარდნენ, თან ისე, რომ უახლოეს იუმორისტულ შოუებს თემა „შეუგდეს". **„მათ ჰყავთ ახალი ლიდერი, რომელიც ატარებს ექსპერიმენტებს თვითგადარჩენის ინსტიქტზე და კარგი ეგზემპლარები არიან ამ ექსპერიმენტებისთვის. დარწმუნებული ვარ, რომ ბევრი აქაური ჩემი კოლეგა, კარგი მასალაა ამისთვის",** — განაცხადა ლევან ვეფხვაძემ, თუმცა კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილი არ უხსენებია — პარლამენტის სხდომათა დარბაზში ბიძინა ივანიშვილის სახელის ხსენებას, რატომღაც ერიდებიან და მასზე მხოლოდ მიანიშნებენ ხოლმე.



ლევან ვეფხვაძესთვის გაუგებარია, რატომ არ ესმის ოპოზიციის ნაწილს, რომ მომავალ პარლამენტში დეპუტატების 190-მდე გაზრდა ისევ ოპოზიციისთვის არის კარგი; რომ ეს გადაწყვეტილება მომავალ პარლამენტში პარტიების მოხვედრის შანსის გასაზრდელად არის მიღებული და ამ ინიციატივას, თავის დროზე, „ისინიც იზიარებდნენ, ვინც ახლა აკრიტიკებს".

**„არ გინდათ და ნუ გინდას" პრინციპით, „ქრისტიან-დემოკრატები საკითხის განხილვის შეჩერების ინიციატივით გამოვიდნენ. ჯიუტობის და „ერთი ადგილის არ ქონის" (ეს უკვე გიორგი ახვლედიანის გამოსვლიდანაა) გამო მომავალ პარლამენტს გარეთ დარჩენილ „პატარა პარტიებს" კი, „მათივე ლიდერის" — ბიძინა ივანიშვილის ფსიქოლოგიური ექსპერიმენტების ეგზემპლარებად ქცევა უწინასწარმეტყველეს.**

თუმცა, ასეთი წინასწარმეტყველების ადრესატი გიორგი ცაგარეიშვილი, ექსპერიმენტზე, უკვე როგორც შემდგარ ფაქტზე ალაპარაკდა — **„თუკი ვინმე ვინმეს არათუ ფსიქოლოგიურ, არამედ ფსიქიატრიულ ანალიზს უკეთებდა, ეს პირველ რიგში „ქრისტიან-დემოკრატები" იყვნენ მათი შექმნის დღიდან",** — განაცხადა საპასუხოდ სიტყვით გამოსვლისას ცაგარეიშვილმა და **„ქრისტიან-დემოკრატების" მაექსპერიმენტარებლად „ნაციონალები" დაასახელა.**

არადა, პარლამენტში მედიცინის სფეროს წარმომადგენლები მართლა ჰყავთ — ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე, ექიმი ნევროპათოლოგი ოთარ თოიძე და ვიცე-სპიკერი, ნევროლოგი გიგი წერეთელი, თუმცა ისინი მათემატიკოს ლევან ვეფხვაძისა და იურისტ გიორგი ცაგარეიშვილის ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიურ ურთიერთდავაში, არ ჩარეულან...

მთელი ამ ექსპერიმენტების შედეგი ის იყო, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ" დეპუტატების რაოდენობის გაზრდის გადაწყვეტილების გადახედვის სურვილი, „ოპოზიციის შემხედვარემ", ოფიციალურად გააჰმოვანა.

**ამ ყველაფერში კი, ცუდი ის იყო, რომ დეპუტატების რაოდენობის გაზრდა ხელისუფლებას რომ აღარ სურდა და მის გადაფიქრებას აპირებდა, გასული თვის მიწურულს გახდა ცნობილი. ამბობდნენ, რომ ხელისუფლებამ საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელება ბიძინა ივანიშვილის გამო გადაიფიქრაო, ხელისუფლებას მომავალ პარლამენტში დეპუტატების რაოდენობის 150-მდე დატოვება სურს, რომელთა შორის 83 მაჟორიტარი იქნება, 67 კი პროპორციული სისტემით არჩეულიო... რაიონებში ტრადიციულად, როგორც წესი, მაჟორიტარებად სახელისუფლო კანდიდატს აქვს შანსი, მიუხედავად პოლიტიკური კუთვნილება-აზროვნებისა. მაჟორიტარების გაყვანის შემთხვევაში კი, პროპორციული სისტემით „ნაციონალურმა" მოძრაობამ სასურველი შედეგიც რომ ვერ მიიღოს, მომავალ პარლამენტში უმრავლესობის მოპოვების გარანტიას იქმნის. მერე რა, რომ მომავალ პარლამენტში ასე უფრო მეტი იქნება იმ დეპუტატების რაოდენობა, „მთელი წელი რომ ხმა არ ამოუღიათ".**

**მთელ ამ ყველაფერში კი მთავარი ის არის, რომ გაუგებარია, ვინ ვის ექსპერიმენტში მიიღო მონაწილეობა, იყო თუ არა ეს ექსპერიმენტი და ვინ ვის თუ რის ეგზემპლარად გააგრძელებს პოლიტიკურ ცხოვრებას 2012 წლის შემოდგომიდან...**

დაჯი პაატაშვილი.

ვითარება

# რატომ აღარ ეუბნებიან გურიაში მადლობას პატრულს

**გასულ კვირას პოლიციამ ჩოხატაურის საავადმყოფოში მიმდინარე აქციის დაშლა საკუთარ თავზე აიღო, ექიმებს ხელფასების დარიგების პირობაც მისცა — „ჩვენს მინისტრს დავურეკავთ და პრობლემები მოგიგვარდებათო" და ნაწილობრივ პირობაც შეასრულა — აქციის საღამოსვე, ექიმებს ხელფასები ჩაერიცხათ, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ეს დაპირება არ გავრცელდა ექთნებსა და სანიტრებზე, რომლებიც ჩვენთან საუბარში ამბობენ, რომ თუ ეს პრობლემა ამ კვირაშიც მოუგვარებელი დარჩება, სამსახურში აღარ მივლენ. უცნობია რას მოიმოქმედებს ამჯერად პოლიცია, მაგრამ ცნობილია, რომ მათი გავლენა დამნაშავეებზე არ ვრცელდება, რადგან (გამონაკლისი არც გურიის სხვა მუნიციპალიტეტებიაძ გახშირებულმა დანაშაულობებმა ჩოხატაურელებს საფუძვლიანი შიში გაუჩინა. ჩვენი რესპონდენტები, რომლებიც, დამნაშავეების პარალელურად პოლიციასაც გვარიანად ჰყავს შეშინებული, ჩვენთან საუბრისას ამბობენ, რომ სამმართველოს ახალმა უფროსმა მოლოდინი ვერ გაამართლა. არადა, თავის დროზე, ცირეკიძე იმ პირობით გამოუშვეს, რომ ჯაფარიძის საქმეებს გამოასწორებდა და დანაშაულებს გახსნიდა, მაგრამ ფაქტები საწინააღმდეგოს მეტყველებენ. იჭერენ ადამიანებს, რომლებსაც ყაჩაღობას ვერ უმტკიცებენ, თუმცა ციხეში სხვადასხვა მიზეზით მაინც უშვებენ, წერენ ჯარიმებს და ერჩიან ჟურნალისტებს. ეს ის საკითხებია, რომლებშიც ცირეკიძის „ცუდ ნიშანს ნამდვილად ვერ დაუწერ". მაგრამ, როგორც ჩვენი წყარო ამბობს, ცუდზე ცუდი ნიშანი გურიის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსს რამდენიმე დღის წინ სამინისტროში დაუწერეს.**

**„გურია ნიუსის" მიერ გადაღებული კადრების (როგორც ჟურნალისტის მიმართ მუქარის, ასევე ექიმების საპროტესტო აქციისძ გამო, დავით ცირეკიძეს მინისტრმა სასტიკი საყვედური უთხრა. მის მიმართ ხელმძღვანელს სხვა პრეტენზიებიც აქვს — გურიაში მძიმე კრიმინოგენური სიტუაციაა და პოლიცია დანაშაულობების გახსნას ვერ ახერხებს. როგორც ჩვენი წყარო ამბობს, მერაბიშვილმა ცირეკიძეს საკმაოდ ხმამაღლა უსაყვედურა:**

**— გურია ერთადერთი რეგიონია, სადაც პატრულს მადლობას არ ეუბნებიან. კეთილი ინებე და სიტუაცია გამოასწორე. ერთ თვეში მქონდეს საქმის მასალები, რომ გურიაში გაუხსნელი დანაშაულობები თითქმის არ არსებობს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაივიწყე რომ პოლიციელი ხარ, — უთქვამს მერაბიშვილს ცირეკიძისთვის და ისიც დაუყოლებია, რომ ლანჩხუთის პოლიციის შენობას მანამ არ გახსნის, სანამ მისი სიტყვა შესრულებული არ იქნება.**

**ჩვენი წყაროს თქმით, სწორედ ამ შეხვედრის შემდეგ მიავლინა სამხარეოს თანამშრომლები ცირეკიძემ ჩოხატაურში. აღსანიშნავია, რომ ჩოხატაურში მივლინებული პოლიციელები დაუნდობლობით გამოირჩევიან. ისინი იმ კატეგორიას მიეკუთვნებიან, რომლებმაც რამდენიმე ათეული უფროსი გამოიცვალეს და სისტემას ჯერ კიდევ შევარდნაძის დროიდან ემსახურებიან. იციან წამების და დაკითხვის განსაკუთრებული მეთოდები. ეს ადამიანები ბოლო რამდენიმე დღეა ჩოხატაურში ავტომატგადაკიდებულები დარბიან, თუმცა ჯერჯერობით არც დანაშაული გახსნილა და არც ყაჩაღები დაუჭერიათ. სამაგიეროდ იწერება ჯარიმები, ოღონდ მათთვის, ვისაც „პატრონი" არ ჰყავს, რადგან დაზუსტებული ინფორმაციით, გამგეობის, საკრებულოს თანამშრომლები და პოლიციელთა ახლობლები, კარგა ხანია მართვის მოწმობის გარეშე დაატარებენ ავტომანქანებს და მათთვის მოძრაობის წესების დარღვევაც დასაშვებია.**



**ნატო გოგელია,**
„გურია ნიუსი"

ჩვენი პრესდაიჯესტი

ჟურნალ-გაზეთებიდან

### 2012 წლიდან უმაღლესი განათლების სისტემაში ახალი რეფორმები განხორციელდება

მინისტრ დიმიტრი შაშკინის თქმით, ლიბერალური ცვლილებები რამდენიმე მიმართულებით ჩატარდება: აბიტურიენტებისთვის მეორადი ჩარიცხვები უქმდება, სამედიცინო და იურიდიულ ფაკულტეტებზე მინიმალური ზღვარი იზრდება, უმაღლეს სასწავლებლებს შეზღუდვები დაუწესდებათ, მარტივდება უცხოეთიდან საქართველოში სწავლების დაწყების პროცედურა და სხვ.



**„ვერსია".**

### „ნაგებულ საქმეში მე არ წავალ"...

— ამბობს „ეროვნული ფორუმის" ხელმძღვანელი გუბაზ სანიკიძე. იგი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ კურსს იზიარებს, მაგრამ ჯერ ვერ გარკვეულა, საით წავიდეს. მას ისეთ ოპოზიციონერებთან არ სურს ყოფნა, ვინც უფსკრულში გადაჩეხავს. გუბაზ სანიკიძეს არჩევნების გაყალბების შემთხვევაში არც რევოლუციის ეშინია. მისი აზრით, რევოლუცია იგივე განახლებაა და ზოგჯერ სწორი გამოსავალიც.

**„საქართველო და მსოფლიო".**

### რა შეუთვალა ზურაბ ადეიშვილმა ივანიშვილს?

ყოფილი პროკურორის ლაური ჯანაშიას პირით ადეიშვილს ივანიშვილისთვის შეუთვლია, არ სთხოვო საააკაშვილს მოქალაქეობის მინიჭება, სასამართლოს მოგაგებინებ და ისე აღგიდგენ მოქალაქეობასო.

**„ახალი თაობა".**

### კერძო სექტორმა სამუშაო ადგილების შემცირება დაიწყო

კერძო სექტორებში დასაქმების მაჩვენებელი შემცირდა. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებაში უმუშევრობის დაძლევაზე თავმომწონედ საუბრობენ, რეალურად მდგომარეობა მთავრობის ილუზიებისგან რადიკალურად განსხვავდება.

**„რეზონანსი".**

ინფორმაცია

### საპროტესტო აქციაში მონაწილეობისთვის

**მოსკოვში საპროტესტო აქციებზე დაკავებულთა შორის ქართველებიც არიან, ვიტალი აფაქიძე და გიორგი ჯალაღანია. დაკავებულებს მოსკოვის ბასმანის განაჩენი უკვე გამოუტანა. აფაქიძესა და ჯალაღანიას 15-დღიანი ადმინისტრაციული პატიმრობა შეეფარდათ.**




**შეგახსენებთ, რომ მოსკოვში საპროტესტო აქციები 4 დეკემბერს გამართული სახელმწიფო სათათბიროს არჩევნების შემდეგ დაიწყო.**

ХО-ЭОВ-ЭНО

გლობუსი

# მდუღარე რეგიონი

ირანის ირგვლივ აგორებულმა მოვლენებმა კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რაოდენ რთულ და ფეთქებადსაშიშ რეგიონში ვცხოვრობთ, და რაც არ უნდა გამუდმებით ვიძახოთ, ევროპაში ვართო, რეალობას ვერავინ შეცვლის. დაძაბულობა, რომელიც სუფევს ამ რეგიონში, არა მარტო ისტორიული უსამართლობით არის გამოწვეული (მხედველობაში მაქვს პალესტინელთა ბრძოლა), არამედ დიდ სახელმწიფოთა ინტერესებით, მათი მუდმივი სურვილით, იყვნენ მაკონტროლებელი ყველაფრისა, რისი კონტროლიც არის შესაძლებელი — კონტროლი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ერთმანეთთან ურთიერთობისა, კონტროლი რეგიონში არსებული სახელმწიფოების ხელისუფლებისა, კონტროლი წიაღისეული სიმდიდრეებისა, მათ შორის ნავთობისა და გაზისა, კონტროლი რევოლუციებისა, კონტროლი შეიარაღებისა და სხვა მრავალთა — არის თუ არა საკონტროლო და იზიარებენ თუ არა ამ კონტროლს რეგიონის ქვეყნები და ხალხები.

კონტროლიორთა შორის გამოკვეთილი კონტროლიორია რეგიონიდან ათეულ ათასობით კილომეტრით დაშორებული აშშ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიო პირველობის მფლობელი, ხშირად მსოფლიო ჟანდარმად მონათლული. სხვა დიდები, ჩინეთის, რუსეთის, ევროკავშირის, ინდოეთის სახით, მიუხედავად მათი სურვილისა, ჯერ შორს არიან მსოფლიოს კონტროლისაგან. ერთადერთს, ვისაც ასეთი რამ შეუძლია, რუსეთია — საკუთარი სამხედრო ძლიერებიდან გამომდინარე.

ბირთვული პოტენციალით ეს ქვეყანა არის ერთადერთი, ვინც ტოლს არ უდებს აშშ-ს. ამ ორის პრიორიტეტულობას მომავალი 10-15 წლის განმავლობაში ვერავინ დააყენებს ეჭვქვეშ — ცხადია, სამხედრო მშენებლობის თვალსაზრისით. ერთადერთი, ვისაც კონკურენციის გაწევა შეუძლია, ჩინეთია და ისიც 20-25 წლის შემდეგ, მაგრამ დათმობენ აშშ და რუსეთი მოპოვებულ პრიორიტეტულობას? რომ არა, ორივეს სამხედრო პროგრამებიდან ჩანს. აშშ-ის მიზანია, უახლოეს წლებში სამხედრო მშენებლობას თითქმის ტრილიონამდე დოლარი მოახმაროს. რუსეთის გეგმა გაცილებით მოკრძალებულია — თითქმის 100 მილიარდი, ეს რაც ოფიციალურად მჟღავნდება. ორთავეს სამხედრო მშენებლობისთვის გამიზნული თანხები გაცილებით აჭარბებს მსოფლიოს ყველა დანარჩენი ქვეყნისას, თანაც ერთად აღებულის, ხარჯებს. ორთა შორის სამხედრო დარგში პაექრობას ამერიკული რაკეტსაწინააღმდეგო სისტემები ჰქვია.

რუსეთი თვლის, რომ ევროპაში ამერიკული სისტემების განლაგება, მეორე ეტაპზე, აუცილებლად დაარღვევს ორთა შორის არსებულ პარიტეტს და რუსეთის სტრატეგიულ ბირთვულ შეიარაღებას ამერიკის მძევლად აქცევს. რუსეთი მიიჩნევს, რომ პარიტეტის დარღვევა სუვერენიტეტის და, რაც მთავარია, მსოფლიოს მშვიდობის დარღვევის მომასწავებელი იქნება. ისტორია გვასწავლის, რომ სუსტი სახელმწიფო ისაა, ვისზეც ფეხების შეწმენდა სრულიად შესაძლებელია. ამიტომაც ცდილობს რუსეთი, სრულყოს საკუთარი შეიარაღება, ბევრი ხარჯოს ამ საქმეში უკეთესი მომავლისათვის.

**სულ ახლახან აღინიშნა საბჭოთა კავშირის მიერ პირველი ატომური ბომბის გამოცდის 60 წლისთავი. ზოგი იტყვის, ეს რა ისეთი აღსანიშნავი თარიღიაო, მაგრამ — არა. 60 წლის განმავლობაში დიდთა სამხედრო დაპირისპირების გარეშე ცხოვრება სწორედ იმ ბირთვული აფექებიდან მოდის. მოგვწონს თუ არა, ატომური იარაღი, ის მშვიდობის იარაღია.** სწორედ მისი არსებობა, მისი დამანგრეველი ძალა აიძულებს ძლიერთა ამა ქვეყნისათა, ანგარიში გაუწიონ საკუთარ ქმედებას. სწორედ ეს გვაიმედებს და გვაფიქრებინებს, რომ რეგიონული დაძაბულობა, თუნდაც ისეთი, რაც ჩვენი ქვეყნის სიახლოვეს არის, არ გადაიზრდება დიდთა კონფლიქტში, **ბირთვული იარაღი იყო ის მთავარი შემაკავებელი ფაქტორი, რამაც დაამუხრუჭა აშშ და ნატო 2008 წელს ცხინვალის ომთან მიმართებაში. არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ასეთს მანამდე მხოლოდ ერთხელ ჰქონდა ადგილი — კუბის კრიზისად რომ შემორჩა ისტორიას.**

**2008 წლის დანაშაულებრივი ქმედება, საქართველოს პრეზიდენტისა და მისი გუნდის მიერ ჩადენილი, სერიოზულ განსჯას საჭიროებს იმ დასავლეთის მხრიდან, ვინც გუნდრუკს უკმევს საქართველოს ხელისუფლებას, რათა მსგავსი აღარ განმეორდეს, რათა რომელიმე დიდი თუ პატარა ქვეყნის შლეგმა ხელმძღვანელმა ბირთვულ იარაღში არ აზილოს მსოფლიო. საყოველთაო პასუხისმგებლობა ყველას ეხება, უპირველესად იმას, ვინც თავს არამდგრადი ქვეყნის, არამდგრადი პრეზიდენტისა და არამდგრადი ხელისუფლების სტრატეგიულ პარტნიორად აცხადებს. ბირთვულ საუკუნეში საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მეტოქის წასაქეზებლად ე. წ. პარტნიორის გამოყენება ცეცხლთან თამაშს ნიშნავს, მით უმეტეს, თუ პარტნიორს საკუთარი მოუზომავი ამბიციაც უხვად აქვს. დასავლეთის მიერ ცხინვალის მოვლენების მთელი სერიოზულობით განხილვას უდავოდ უნდა მოჰყოლოდა სააკაშვილის და მისი ხელისუფლების იძულებითი გადადგომა, რაც ყველა მსგავსი ლიდერისა და ქვეყნისათვის იქნებოდა, მესიჯი, რომ ცეცხლთან თამაში ისჯება. სამწუხაროდ, ამ ფილოსოფიაზე არ არის აგებული თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკა. ის უფრო ურთიერთგამოწვევების და წაქეზების უამრავი მაგალითის შემცველია.**



**დასავლელთა მხრიდან 2008 წლის აგვისტოს შემდგომი პერიოდის გულთბილმა დამოკიდებულებამ სააკაშვილისა და სააკაშვილების მიმართ აგრესიულის სახელი ჩამორეცხა მათ და ახალი თავდაჯერება შემატა, თანაც ისეთი, როგორიც სერიოზულად ძაბავს რუსეთთან ურთიერთობას. ნუთუ ესოდენ უჭირს ოფიციალურ ვაშინგტონს სააკაშვილის ვერბალური აპარატისათვის ლაგამის ამოდება, ნუთუ ასე ძნელია მისთვის თითის დაქნევა? და თუ ეს ასეა, სააკაშვილი ყოფილა ობამა! მერამდენე საჯარო გამოსვლაზე გვესმის სააკაშვილის უხამსი ოხუნჯობა პუტინისათვის ოკუპირებული ტერიტორიების სანაცვლოდ საკუთარი სხეულის ნებისმიერი ნაწილის გაგზავნის თაობაზე. ასე იყო ბიშკეკში უნივერსიტეტის სტუდენტებთან გამოსვლის დროს, სადაც ყველაფერ ამასთან იყო ის ტრადიციული ბაქიბუქი აყვავებული საქართველოს შესახებ, რასაც ჩვენც და სხვაც 24-საათიან რეჟიმში ვისმენთ. ნეტავ რა ისეთი უსაფრთხოების გარანტიით უზრუნველყვეს ვაშინგტონელმა „ძმებმა“ თავშეუკავებელი სააკაშვილი, რომ მან ესოდენ თავხედური ლექსიკით არ ილაპარაკოს რუსეთის მიმართ? არც შინ და არც გარეთ არ ჩანს ადამიანი, ვინც კატეგორიულად იტყვის — შეჩერდი! პირიქით, როგორც გარეთ, ისე ქვეყნის შიგნით დიდ ტკბობას განიცდიან სააკაშვილის მიერ რუსეთის გაშაყირებისათვის. სააკაშვილი რომ რიგითი მოქალაქე იყოს, არავინ განიკითხავდა მის სიტყვას და საქმეს, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ მას პრეზიდენტი ჰქვია და მისი ყოველი სიტყვა, მრუდედ გადადგმული ნაბიჯი ცხვირში ძმარივით ამოედინება საქართველოს, ისე, როგორც ეს მოხდა 2008 წელს ან თუნდაც, როგორც ეს იქნება ებრაელი ბიზნესმენების დაჭერა-გათავისუფლების საქმეში. გაუგებარი მიზეზით დაჭერილი და იძულებით გათავისუფლებული ბიზნესმენების ისტორია სააკაშვილსა და მის გუნდს კი არ ვნებს (ადრე თუ გვიან ისინი გადაშენდებიან), არამედ საქართველოს ავნებს. და რაც არ უნდა ხატოვნად ილაღადოს პრეზიდენტმა გაფურჩნული მარად ალისფერი ვარდის შესახებ, ქართული ციხიდან გამოსული, ღორისხორცნაჭამი ებრაელი ტყვეები სხვას ილაპარაკებენ.**

არამდგრად ხელისუფლებას, თანაც ამერიკელთა მონას, მრავალი არასასიამოვნო სიურპრიზის მოტანა შეუძლია ქვეყნისათვის და არა მარტო მისთვის, არამედ რეგიონისთვის. შექმნილი პოლიტიკური ვითარება, ვაშინგტონის მაკონტროლებელი ფუნქცია, გავლენის სფეროთა ძიების პერმანენტული სურვილი, ენერგორესურსებისათვის თავდაუზოგავი ბრძოლა, რუსეთთან მძაფრი პაექრობა, ირანის მორჯულება და სხვა, შეგნებულად მოაქცევს სააკაშვილის საქართველოს დუღილის ეპიცენტრში. არავინ იცის, რა პოზიციას დაიკავებს სააკაშვილი დასავლეთის მიერ ირანზე შეტევის დროს, ან კასპიის ზღვის აუზში მოსალოდნელი სამხედრო დაპირისპირების შემთხვევაში.

ევროკავშირი დაბეჯითებით მოუწოდებს თურქმენეთ-აზერბაიჯანს ტრანსკასპიური მილსადენის მშენებლობისკენ, რომელიც ორი ქვეყნის ენერგორესურსებს გაიტანს ევროპაში, ცხადია საქართველოს გავლით. აზერბაიჯან-თურქმენეთი აცხადებენ, რომ მშენებლობა მათსავე ტერიტორიულ წყლებში განხორციელდება და სხვას, ამ შემთხვევაში, რუსეთს არაფერი ესაქმება. რუსეთი კი სხვაგვარად იხილავს ამ საკითხს. პრეზიდენტი მედვედევი აცხადებს, რომ მილსადენის მშენებლობა დაუშვებელია, ვიდრე არ იქნება კასპიის ზღვის ყველა ქვეყნის თანხმობა. კასპიის ზღვის სამართლებრივი საკითხი ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის. სექტორებად დაყოფა მხოლოდ პირობითია, რის შესახებაც არაერთხელ შეახსენეს ევროკავშირის დიპლომატებს. რუსეთის მხრიდან მათ უთხრეს, რომ თუ არ გაითვალისწინებენ კრემლის აზრს, რუსეთი გამოიყენებს სამხედრო ძალას, წერტილოვანი საჰაერო დარტყმების სახით აზერბაიჯან-თურქმენეთის ობიექტებზე. რუსეთი თავის პოზიციას არა მარტო ეკონომიკას უკავშირებს, არამედ პოლიტიკასაც. მისი აზრით, მშენებლობა გამოიწვევს კასპიის ზღვის ქვეყნებს შორის დაპირისპირებასა და ანარქიას, მესამე მხარის, ანუ დასავლეთის პროცესში ჩართვას. დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის წარმომადგენელი მიხეილ ალექსანდროვი თვლის: **„რუსული მხარის წინადადების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში მოსკოვი აიძულებს ბაქოსა და აშხაბადს, დაიცვან საერთაშორისო ნორმები, შესაძლოა ავიადარტყმებითაც კი, თუ ისინი სხვაგვარად ვერ გაიგებენ. მას შემდეგ, რაც ნატომ გააკეთა იუგოსლავიაში, ავღანეთში, ერაყში, ლიბიაში, რუსეთისთვის რაიმე შემაკავებელი მიზეზი, მორალური თუ სამართლებრივი კასპიის ზღვაზე ძალის გამოყენებასთან დაკავშირებით, აღარ რჩება“.** რუსეთის პოზიციას იზიარებს კასპიის ზღვის ქვეყანა ირანი.

დასავლელთა წამქეზებლური პოლიტიკის წყალობით, გავლენის სფეროთა გაფართოების მიზნით ვაშინგტონი ახალ ნაბიჯებს დგამს, რაც ახალი დაძაბულობის კერის შექმნის მანიშნებელია და, რაც საქართველოს არ დატოვებს შორიდან მაცქერლის როლში, პირიქით თავშეუკავებელი სააკაშვილის პირობებში თავით გადავეშვებით აბობოქრებულ მორევში. საქართველოს, როგორც არასდროს, ესაჭიროება ბალანსირებული პოლიტიკა, დამჯდარი, დაფიქრებული პრეზიდენტი და ხელისუფლება და არა ისეთი მჩატე და გამაღიზიანებელი, როგორიც დღეს ჰყავს.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

ინფორმაცია

## მოსკოვში დაკავებული რუსთავი2-ის ოპერატორი გაათავისუფლეს

**რუსთავი 2-ის ოპერატორი გუშინ გამთენიისას გაათავისუფლეს. იგი ოქმის შედგენისა და 500-რუბლიანი ჯარიმის გადახდის შემდეგ გაუშვეს.**

**დაპატიმრებულია ოპოზიციის თითქმის ყველა ცნობილი აქტივისტი. მათ შორის იყო ბორის ნემცოვიც, რომელიც მოგვიანებით გაათავისუფლეს.**

**სამართალდამცველებმა ასევე დააკავეს ადამიანის უფლებათა დამცველი ლევ პონომარიოვი, „იაბლოკოს„ ლიდერი სერგეი მიტროხინი, სხვადასხვა ოპოზიციონერები და „ნოვაია გაზეტას„ ჟურნალისტი ელენა კოსტიუჩენკოც.**

**რუსული მედიის ინფორმაციით, დაკავებულებს 15-დღიანი პატიმრობა და 1000 რუბლის ჯარიმა ემუქრებათ. მოსკოვში, ტრიუმფალურ მოედანზე 1000-მდე ომონის წარმომადგენელი იყო მობილიზებული.**

**სასამართლომ 15-დღიანი პატიმრობა უკვე მიუსაჯა ცნობილ ბლოგერს ალექსეი ნავანის.**

ჯი-ეიჩ-ენი

სარედაქციო ფოსტიდან

## ორი უარი...

თუ არ ვცდები, 1967 წელი იყო. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარის მოადგილემ არქიფო ლაბახუამ შეკრა სპეციალისტთა 6-კაციანი ჯგუფი და საშენ მასალათა საწარმოების მუშაობის შესამოწმებლად წაგვიყვანა. ორი მანქანით ვმგზავრობდით და საწარმოთა დათვალიერებით ავჭალის სილიკატური აგურის ქარხნიდან ჭოროხის ინერტული მასალების ქარხნამდე ჩავედით. სწორედ ჭოროხის ქარხნიდან ტერიტორიაზე გამოვედით და, სრულიად მოულოდნელად, სომეხი ეროვნების მოქალაქეთა მასაში მოვხვდით. მათ პეტიციასავით წაუყენეს ბატონ არქიფოს მოთხოვნა, მთავრობა დახმარებოდა აჭარაში სომხობას, ბათუმთან ახლოს, ცალკე საცხოვრებელი კვარტალის მშენებლობაში. ბატონმა არქიფომ ეს სრულიად უსაფუძვლო თხოვნა, რა თქმა უნდა, არ მიიღო, შეჰპირდა კი მთხოვნელებს, რომ ისინი ბინებს საერთოდ მიღებული წესით უპრობლემოდ მიიღებდნენ.

რამდენიმე წელია, რაც საქართველო მტკიცედ არის ჩაბმული სომხეთში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში... მე, როგორც ამ სამუშაოების კურატორს საქართველოს მთავრობაში, წარმომიდგინეს დაზარალებული სომხეთიდან ჩამოსული ორი მაღალჩინოსანი პიროვნება. ისინი ითხოვდნენ ხელმძღვანელთან შეხვედრას. მე ისინი მთავრობის თავმჯდომარის პირველ მოადგილესთან ბატონ ოთარ ქვილითაიასთან შევიყვანე (ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს ოთარს, კარგი პიროვნება იყოძ. წერილობით თხოვნებში, თითქოს რიგითი, სინამდვილეში კი მთავარი ადგილი ეჭირა ზღვით მოწოდებული ჰუმანიტარული ტვირთის ადგილზე მიტანის გაადვილების მიზნით სპიტაკი-ბოგდანოვკა-ახალციხე-ადიგენი-ბათუმის საავტომობილო ავტოსტრადის მშენებლობას. ბატონმა ოთარმა უარი განუცხადა მომსვლელებს და მტკიცედ შეჰპირდა, რომ ტვირთები ყოველგვარი შეფერხების გარეშე მიეწოდება სომხეთის დაზარალებულ რეგიონს. მაშინ ცოტანი თუ მიხვდნენ ამ თხოვნისა და უარის შინაარსს. რაც შეეხება ტვირთების დროულ მიწოდებას და სხვა დახმარებას, ეს მეზობელ სომხეთს საქართველოსგან ნამდვილად არ მოჰკლებია. ამას არა დაყვედრების მიზნით, არამედ მეგობრობის განსამტკიცებლად ვიხსენებ.

**რევაზ ტყემალაძე**

## ◉ ჭკეპლიკა

# მომკალით და, ვერასგზით ვერ ავხსენი — რატომ არის სუყველაფრის გამხსნელი...

**30 ნოემბერი — 1 დეკემბერი: ორდღიანი ვიზიტი ყირგიზეთის დედაქალაქში, იქ ახლადარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაციაზე, საქართველოს უმაღლესი პირისათვის ბუნებრივი და გასაგები ასეთი დონის მოვლენის გათვალისწინებით (რა ვუყოთ, რომ რუსეთის პირველმა პირმა არ იკადრა ბიშკეკში ჩასვლა...). ჩემს თვალში უბუნებრივო და გაუგებარი მხოლოდ ყირგიზთა აღტაცება იყო საქართველოში მიმდინარე რეფორმების გამო და მიხეილ-ბატონის მისამართით გამოთქმული ხოტბა; ნუთუ იმსიშორიდან ასე „კეთილდღოვანი" მოვჩანვართ? თუმცა უცხოელთაგან, კერძოდ, „საბჭოთა უცხოელთაგანაც" მობოლებას მიჩვეულნი ვართ... კიდევ ჩვენი ენამზიანი „მაღალის" ერთმა განცხადებამაც შემაცბუნა მე პირადად: ყირგიზეთმა 2003 წლის საქართველო გამახსენაო. არის ამ ნათქვამში უტაქტობის ელემენტი... გეგონება ამჟამინდელი საქართველოა ძალიან დალხენილი...**

2 დეკემბერი — ლაგოდეხში კლინიკის (თუ 40-საწოლიანი საავადმყოფოს) გახსნა. ხალხო, გამაგებინეთ, ასეთ „ზეიმს" ჯანდაცვის მინისტრი (შემოკლებული მოხსენიებით) არ ეყოფოდა? პრეზიდენტი ყირგიზეთში წინა დღის სახელმწიფო ვიზიტის შემდეგ ლაგოდეხზე უნდა „დახურდავებულიყო"? (კახელები საწყენად ნუ მიიღებენ, თავიანთი სიხარული ხომ გაინაღდეს...).

3 დეკემბერი — გლდანში სკოლის გახსნა, უთანამედროვესი აუზისთვის საფუძვლის ჩაყრა (როცა აშენდება, ვიქნებით კი ისე ჭკვიანად, რომ წყალსაც ჩაგვისხამენ?..). იგივე კითხვა — ამ ღონისძიების გასაპიარებლად განათლების მინისტრი (კვლავ შემოკლებულად) არ კმაროდა?..

4 დეკემბერი — ზუგდიდში კლინიკის (კვლავ კლინიკა!) გახსნა, რაღაც პროფესიული გადამზადების ცენტრის დაანონსება დასავლეთ საქართველოში უდიდეს და მსოფლიოში ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქთან ლაზიკასთან ერთად (დაუზადებელი ბავშვი აბრამი არ გაგახსენდათ?..); მე კი ოსტაპ ბენდერი ამომიტივტივდა მეხსიერებაში, ილფისა და პეტროვის მარადიული პერსონაჟი, ვასიუკა რომ მერმისის მსოფლიო ცენტრად ნაირფერებით დაუხატა გაოგნებულ ვასიუკელებს...



ამრიგად, სამ დღეში (2-3-4 დეკემბერი) სამი „მოკლემეტრაჟიანი" ვოიაჟი ლაგოდეხი-გლდანი-ზუგდიდი („გრძელმეტრაჟიან" ყირგიზულს „ძინავს"...) ერთი და იმავე სცენარით: მოძრავი კათედრა (ტრიბუნა!), მოყვანილი ხალხი, ხელის ჩამორთმევით (შიგადაშიგ კოცნითაც) ჩამოვლა, ტაში და შეძახილები, მგზნებარე სიტყვა-გამოსვლები (რომ ჩამოხდომის ადგილი ყველაზე მაგარია საქართველოში, რომ დამხვდურები ძაან მაგრები არიან, ყველაზე ნიჭიერები, ყველაზე შრომისმოყვარენი და ა. შ. მოდით, ეს ა. შ.-ც გავშალოთ: რომ ამდენი რამ არასდროს არ გაკეთებულა, არ აშენებულა საქართველოში — რომ არც დანგრეულა, დაკარგულა და გასხვისებულა, ეგ რა სათვალავში ჩასაგდებია — რომ რაც შენდება თუ აშენდება, მსოფლიოში პირველი და საუკეთესო იქნება და სხვა... ამ „სხვას" განვრცობაც შეიძლება, რამე რომ იყოს...).

მგზნებარე სიტყვა-გამოსვლები-მეთქი და საბჭოურხანაგამოვლილ უფროსთაობელთ გვახსოვს რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი სერგეი მირონის ძე კიროვი; სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ: მიხეილ ნიკოლოზის ძე სააკაშვილი (მამის სახელს არ უგულებელვყოფთ!) გახლავთ ვარდების რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნი (თუმცა მე „ლიჩნად" ამ ხელოვნურ, შემოპარებულ, თავსმოხვეულ და გასაკვირად, საერთაშორისო მასშტაბებშიც ატაცებულ ცნებას არ ვწყალობ და ის, რაც მოხდა 2003 წლის 23 ნოემბერს, „შევარდნების რევოლუციად" უფრო წარმომიდგება...).

თავს ნებას მივცემ, რომ საჯაროდ ვიკითხო: ქვეყნის მეთაურს ამდენ სამოგზაუროდ, ასე ყოველდღე სავოიაჟოდ თუ საპიაროდ უნდა ეცალოს? ამდენ ხარჯზე და ამდენ შექმნილ უხერხულობაზე (გზების გადაკეტვა, დაცვითი ჯაჭვების გაბმა, „მრევლის" მოყვანა და კვლავ სხვა) არ უნდა ფიქრობდეს? ყოველდღე რაიმეს უნდა ხსნიდეს? სკოლებს, კლინიკებს, აუზებს, სახინკლეებს უფრო დაბალსაფეხუროვანი მოხელენი ვერ გახსნიან? ამ გამჭვირვალე შენობების წამოჭიმვის ეპოქაში ისიც გახადონ გამჭვირვალე, თუ რა ჯდება „გულივერის" გაუთავებელი მოგზაურობები (უკვე რვაწლიანი) ან თუნდაც სულ ბოლო სამი „გახსნა" რა დაჯდა — ბათუმში კვერცხებისა და ზემოდან დასამამლად წამოჯდარი ფოსტლებისა, თბილისში უკვე ყბადაღებული ორთვლიანი და ორსაჭეიანი ველოსიპედისა და ნებივრად ჩამომჯდარი კაი განის რეიგანისა?..

ნუთუ ბატონ პრეზიდენტს ყოველდღიურ მოთხოვნილებად გადაექცა იმის ხილვა და იმაში დარწმუნება, თუ როგორი პოპულარულია მოსახლეობაში, როგორ უყვარს ხალხს, როგორ უშვერენ გაშლილ ხელებს, როგორ ართმევენ, როგორ ეხუტებიან და როგორ „ემიშა-მიშა-ებიან"?... და თუ ეს ყველაფერი დიდწილად ჩაწყობილი და დაგეგმილია, მაშინ? მაშინ ვილამ სთქვას მაგის საქმე, ვინ სადღა იყოს?..

**...მე ყველაფერს ვასრულებ, რასაც ხალხს ვპირდებიო — ესეც განაცხადა ლამაზი, მგორავი ტრიბუნიდან თუ კათედრიდან. მტყუანის?..**

**ბერდია ბედოიძე.**

***P. S. ისე მიმაჩვია სუყველაფრის გახსნას, რომ „ნეტავი ნატვრა მანატრა, ეს ნატვრა ამიხდინაო": რომელიმე ახალ-ახალ კლინიკაში ვინმე საცოდავ ყაბზობაშეყრილ ავადმყოფსაც გაუხსნას შეკრული კუჭი წითელი ლენტის გაუჭრელად... მომასწრო ამ დღეს და რა უნდა იმ მაღალ ღმერთს...***

***ბ. ბ.***

## ◉ საგადასახადო სივრცე

# პირდაპირი შეღავათი უფრო „მძიმე" იქნებოდა

**არა მგონია, ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს იმაში, რომ რომ მომავალ შემოდგომაზე გასამართი ჩვენი ორმოცკაციანი „ამონაყარით" გამდიდრებული და სამერმისოდ უკვე „ქუთეისური" პარლამენტის საარჩევნო კამპანიის საპიარო „არტმომზადება" უკვე კარგა ხნის დაწყებულია. ამას ბევრი გარემოება მოწმობს, რომელთაგან ბოლოდროინდელი პოლიტიკური სიახლის, ასე ვთქვათ, გარკვეულ ძალთა ალიანსის სახით პოლიტიკური მიზიდულობის მესამე პოლუსის შექმნის ხსენებაც კმარა. ხელისუფლების მხრიდან ელექტორატის გულთა მონადირებაზეა ორიენტირებული გაისად შემოდგომაზე პენსიების მართალია არათანაბრად და არასამართლიანად, მაგრამ მაინც მომატების დაპირება, ასევე, ამ უკანასკნელის მსგავსად, გარკვეულ ასაკობრივ ჩარჩოებში მოქცეულ საშუალო ასაკის ხალხის დასაქმებასთან დაკავშირებული საგადასახადო შეღავათი.**

როგორც ჩანს, 45-60 წლის ასაკის შუალედში „მოყოლილ" უმუშევართა დასაქმების შემთხვევაში საშემოსავლო გადასახადისგან გათავისუფლების იდეა მაინცდამაინც დიდი ხნის წინათ არ გაჩენილა საქართველოს საგადასახადო სივრცის მესვეურებში, მაგრამ ფაქტია, რომ ამჟამად იგი საკანონმდებლო დონეზე განსახილველადაა მომზადებული. რეალურად რამდენ სახელმწიფო დაწესებულება-საწარმოდან „მოგუდულად" დაპანღურებულ სპეციალისტს თუ რიგით მუშას შეეხება ეს ამბავი, ვინც ახალგაზრდა ვარდოსნებმა, ვისაც „40 წლის ხის დანახვაც" აღარ ისურვეს თავიანთ „სამწყსოებში", ახლა ძნელი სათქმელია, მაგრამ, როგორც ჩანს, არც მაინცდამაინც ბევრს. საქმე ის არის, რომ ამასთან დაკავშირებით საკანონმდებლო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, რაც, ფაქტობრივად, ეჭვს არ იწვევს, საგადასახადო შეღავათი მხოლოდ შემოღებიდან ერთი წლის მანძილზე იმოქმედებს. თავისთავად ეს გარემოება, რომლის წყალობით მცირე და საშუალო რანგის მეწარმეებს გარკვეული სახსრების აკუმულირების შესაძლებლობა ექნებათ, და რომელიც ახალი კადრებით შევსებისას ძველი მუშაკების სამსახურიდან დათხოვნას სულაც არ ითვალისწინებს, ნამდვილად მისასალმებელია. ამასთან, ექსპერტთა ნაწილის აზრით, ინიციატივის არსი, ცოტა არ იყოს, დისკრიმინაციული ხასიათისაა, ისევე, როგორც პენსიების დიფერენცირებული მომატება მხოლოდ 67 წლის ასაკიდან და მხოლოდ პირველი ჯგუფის ინვალიდებისთვის. გარდა ამისა, სპეციალისტების თქმით, კონკრეტული ვადები (2012 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე) დათქმული დრო (ერთი წელი), ასაკობრივი საზღვრები და, ამასთან, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის აუცილებლობა, არ იძლევა რამდენადმე მნიშვნელოვანი სახსრების დაგროვების შესაძლებლობას, რომლებიც წარმოების მეტ-ნაკლებად საგრძნობი განვითარების საშუალებას მისცემდა საშუალო რანგის მეწარმეებს. რაც შეეხება მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებს, მათთვის ეს შეღავათი საერთოდ არაფრის მიმცემია, გარდა წმინდა წყლის სიმბოლური მადლიერების გრძნობისა.



ინიციატივის თანახმად, 45-დან 60 წლამდე ასაკის მუშაკის 2012 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე, ანუ ნახევარი წლის მანძილზე დამსაქმებული საწარმო წლის მიწურულს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურს მუშაკთა სიას წარუდგენს, რომლის საფუძველზე დადგინდება კიდეც, ხომ არ „შეეწირა", „შემთხვევით", რომელიმე 45 წლამდე უმცროსი, ანდა 60 წელზე უფროსი თანამშრომელი „შეღავათიან", ანუ 45-60 წლის ასაკობრივ ჯგუფში მოყოლილი პირების დასაქმებას, რაც საწარმოს გარკვეულ შეღავათს მისცემს. ისე, კაცმა რომ თქვას, ფაქტობრივად ისე შეიძლება მოხდეს, რომ რომელიმე კონკრეტულმა მეწარმემ, შესაძლოა, ამის გამო მთელი ერთი წლის მანძილზე სამსახურიდან მართლა ვერ დაითხოვოს ის თანამშრომელი, რომელიც რაღაც მიზეზით აღარ აწყობს და მის მაგიერ 45-60 ასაკობრივ ჯგუფში მყოფი მუშაკი ვერ აიყვანოს მოსახლეობის იმ ჯგუფიდან, რომელსაც, როგორც მიხეილ სააკაშვილმა თქვა „... გარემოებებში არ გაუმართლა". ექსპერტები იმ გარემოებასაც აქცევენ ყურადღებას, რომ საშემოსავლო გადასახადი გაცილებით უფრო ეფექტიანი იქნებოდა, მისგან არა მეწარმე, არამედ უშუალოდ დასაქმებული მუშაკი რომ გათავისუფლებულიყო, რადგან ერთი კაცისთვის საშემოსავლო გადასახადის თანხის არგადახდევინება, რომელიც, როგორც ცნობილია, ხელფასის თუ გამომუშავების 20 პროცენტს შეადგენს და მისი პირდაპირ „ჯიბეში ჩადება" გაცილებით უფრო წონადი შეღავათი იქნებოდა.

ბოლოს კიდევ ერთ სიახლეზე გვინდა შევჩერდეთ, რომელსაც, სავარაუდოდ, ასევე მიკრო და მცირე ბიზნესს შესთავაზებენ. ესაა საგადასახადო რეჟიმის ალტერნატიული ფორმის ამოქმედება, რომელიც საგანგებოდ ფიქსირებული გადასახადის ფორმის შემოღებას გულისხმობს. თუ მას შემოიღებენ, წვრილი მეწარმეები, სურვილის შემთხვევაში, მასზე გადავლენ, ხოლო თუ არა, მაშინ მოქმედი საგადასახადო რეჟიმის მოთხოვნათა შესაბამისად იმოქმედებენ.

**ოთარ ტურაბელიძე**

## ◉ ინფორმაცია

# დაფუძნდა ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლი

**საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ რეგისტრაციაში გაატარა არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლი", რომლის დამფუძნებელი და თავმჯდომარეა პოლიტიკოსი და მეცნიერი, პროფესორი ნესტან კირთაძე.**



**როგორც ნესტან კირთაძემ განაცხადა, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ საქართველოში ეს არის პირველი სამშვიდობო ინიციატივა და სამშვიდობო ინსტიტუცია, რომელიც იწყებს პირდაპირ, ორმხრივ დიალოგს ოსებთან და აფხაზებთან ნდობის, ორმხრივი და მრავალმხრივი ურთიერთობის აღსადგენად.**

**— ეს იქნება მშვიდობის სახლი, რომელიც ხელს უწყობს აფხაზებსა და ოსებს მშვიდობიანი თანაარსებობის, თანაცხოვრებისთვის საფუძვლების მოსამზადებლად და პირველი ნაბიჯების გადასადგმელად. ეს იქნება სამშვიდობო ინსტიტუცია და კერა ორმხრივი და მრავალმხრივი დიალოგისთვის, ადამიანურ დონეზე ჰუმანიტარული ურთიერთობისთვის, ტრადიციებისა და კულტურული ურთიერთობების განახლებისთვის, პრობლემების განსჯისა და მათი ერთობლივად გადაწყვეტისთვის. ჩვენი სამშვიდობო ურთიერთობები გარდაუვალი რეალობაა. ჩვენ ერთად გადავდგამთ პირველ ნაბიჯებს ამ რეალობის შესაქმნელად, — განაცხადა კირთაძემ.**

**დეტალურ ინფორმაციას „ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური სახლის", როგორც სამშვიდობო ინსტიტუციის, მისი პარტნიორებისა და სამომავლო გეგმების შესახებ კირთაძე უახლოეს დღეებში საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრებს.**

ХО-ЭИВ-ЭНО

**სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა!**

# თვალებში ყორნების მქენჯნიან კლანჭები...

***რამდენიმე თვის წინათ გაზეთ „ასავალ-დასავალში“ დაიბეჭდა ჟურნალისტ ქეთევან ხამიცაშვილის ინტერვიუ გასული საუკუნის ბოლშევიკური რეპრესიების ცნობილ მკვლევარ, მწერალ, რევაზ კვერენჩხილაძესთან, სათაურით „ჯალათების სახელები უნდა ვიცოდეთ!“. წერილში ბევრი ცნობილი თუ უცნობი ფაქტია მოყვანილი იმდროინდელი საქართველოს ისტორიიდან. ჯალათებად, უშიშროების კომიტეტის მაღალჩინოსნებთან ერთად დასახელებულნი არიან ცნობილი მოჭიდავე, მსოფლიოს ჩემპიონი არსენ მეკოკიშვილი და სსრ კავშირის ჩემპიონი კრივში ანდრო ნავასარდოვი. რედაქციაში გვეწვია საქართველოს სსრ უშიშროების მინისტრისა (1939-1947 წ.წ.) და იუსტიციის მინისტრის (1947-1951 წ.წ.) აქვსენტი რაფავას ქალიშვილი, ბიოქიმიკოსი, მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ეკა რაფავა. ქალბატონ ეკას ზემოხსენებულ წერილთან დაკავშირებით თავისი შეხედულებები აქვს. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველს მისი ნაამბობი გავაცნოთ.***

გაზეთ „ასავალ-დასავალში“ დაბეჭდილ ინტერვიუში მწერალი და მკვლევარი რევაზ კვერენჩხილაძე მიზანდასახულად ამახინჯებს ფაქტებს მამაჩემზე აქვსენტი რაფავაზე. პრესაში ფაქტების დამახინჯება და ცილისწამება ვაი რომ არახალია და საბჭოეთის ეპოქაში მცხოვრებ ადამიანებს არ უნდა გაუკვირდეთ, მაგრამ ახლა როდესაც სხვა დროში ვცხოვრობთ და დაინტერესებულ პირებს ასე თუ ისე მაშინდელ არქივებზეც მიუწვდებათ ხელი, ამგვარი, საფუძველსმოკლებულ და გამოგონილ ინფორმაციებზე დაყრდნობით საუბარი დანაშაულად მიმაჩნია. მე გავეცანი ამ თემაზე დაწერილ თანამედროვე ლიტერატურას და ნათელი გახდა, რატომ ცრუობს ბატონი კვერენჩხილაძე — განაცხადა ქალბატონმა ეკა რაფავამ.

**— ქალბატონო ეკა, თქვენ საუბრობთ უზუსტობებზე, რომლებსაც ადგილი აქვს ზემოთ ხსენებულ სტატიაში და ბრალდებებზეც, რომელიც ბატონმა რეზომ წაუყენა მამათქვენს. იქნებ კონკრეტულად გვითხრათ რა უზუსტობებზეა საუბარი?**

— მოგახსენებთ. ბატონი კვერენჩხილაძე წერს **„რაფავა ბნელი წარსულის კაცი იყო. 20-იან წლებში ის თავს არიდებდა ჯარში სამსახურს, დეზერტირობდა. 1921-1923 წლებში იმალებოდა“**. ეს სრული სიცრუეა. თუ გადავხედავთ ცნობილი ჟურნალისტისა და ისტორიკოსის, ბატონ ალეკო ასლანიშვილის წიგნს **„დაკარგული საფლავები“**, რომელიც საქართველოს უშიშროების სამინისტროს არქივში მოძიებულ მასალებზე დაყრდნობითაა დაწერილი, 292 გვ-ზე ვკითხულობთ. ***აქვსენტი ნარიქის ძე რაფავა დაიბადა 1899 წელს სოფელ კორცხელში, ზუგდიდის უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ქუთაისის სასულიერო სემინარიაში. 1919 წელს შევიდა ახალგაზრდულ ორგანიზაცია „სპარტაკში“. 1921 წლიდან საბჭოთა საქართველოს ერთგული მსახურია. იყო ზუგდიდის რაიკომის მდივანი, მუშგლეხინის ინსპექტორი. 1924 წელს პარტიამ ჩეკაში გაგზავნა, იქ 13 წლის მუშაობის შემდეგ გადაიყვანეს აფხაზეთის ცაკ-ის თავმჯდომარედ“...*** ვგონებ აქ ყველაფერი ნათლადაა ნაჩვენები და არავითარი დეზერტირობა და ბნელი წარსული, როგორც კვერენჩხილაძეს სურს, არ ჩანს.

იმ ჯალათთა შორის, რომლებიც უშუალოდ აწამებდნენ ხალხს შინსახკომის ციხეში, მწერალი ასახელებს მამაჩემსაც. მაგრამ საარქივო მასალებიდან ცნობილია, ***რომ სხვა მაღალჩინოსნებისგან განსხვავებით, აქვსენტი რაფავა არასდროს პირადად არ ღებულობდა მონაწილეობას პატიმართა დასჯა-წამებაში.ბევრი მტერიც ჰყავდა ჩეკას მაღალჩინოსნებში. ამაზე მეტყველებს ერთ-ერთი მაღალჩინოსანის სერგო დავლიანიძის „დანოსი“ ბერიასადმი, სადაც ყოველივე ამის გამო უარყოფითადაა დახასიათებული რაფავა.***

მე რომ ვამტკიცო — არ დაუჯეროთ კვერენჩხილაძეს, მამაჩემი არასოდეს ყოფილა ჯალათი, მკვლელი, სადისტი. იგი ბევრს, სრულიად უცნობ ადამიანებსაც კი უანგაროდ დახმარებიაო მეთქი, არ დაიჯერებთ, იტყვით, შვილია და მამას იცავსო. მაგრამ მამაზე ბევრი დადებითი რამ უთქვამთ უცხო ადამიანებს, თქვენ წარმოიდგინეთ, რეპრესირებულებსაც კი. და ეს ხდებოდა მამის დახვრეტის შემდეგ. მე მამას არ ვიცავ, მე ვიცავ სიმართლეს.

ადამიანთა წამება არანაირ ცივილიზებულ ნორმებში არ ჯდება, მაგრამ ყველასათვის ცნობილია, რომ ტოტალიტარული რეჟიმი ყოველთვის ნოყიერ ნიადაგს ქმნის ნებისმიერი დანაშაულისთვის. ამის შედეგად ნადგურდებიან ადამიანები, ოჯახები, ასეთ რეჟიმში დემოკრატიაზე საუბარი ზედმეტია, მე არ ვამართლებ რეპრესიებს, მაგრამ ყურმოკრულ ცილისწამებითა და არაზუსტი ინფორმაციებით, პიროვნების დახასიათება რასაც ბევრი მკვლევარი მიმართავს, თავისთავად არის დანაშაული. ერთ საინტერესო ფაქტსაც მოგაწვდით. ეს აღწერილი აქვთ ბატონ ოთარ ჭითანავას და გიორგი ხუფენიას თავიანთ გამოკვლევაში **„ტყვეობიდან განთავისუფლებული სიმართლე“** და რომელსაც სულ ახლახან გავეცანი.



აქვსენტი რაფავა

***„უშიშროების გაფართოებულ სხდომაზე უშიშროების მინისტრმა, სამამულო ომის დამთავრების შემდეგ დაიცვა ის ქართველი ტყვეები, რომლებიც გარემოებათა გამო იბრძოდნენ საფრანგეთის ლეგიონში და კუნძულ ტექსელზე, შემდეგ კი აჯანყდნენ და გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ მომართეს იარაღი. ა. რაფავამ აღნიშნა, რომ უშიშროების სამსახურის მიერ მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით, მათ დამსჯელ ორგანოებში არ უმუშავიათ და მტრის ზურგში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ არ უბრძოლიათ. ამიტომ ისინი არათუ დახვრეტას, დასჯასაც არ იმსახურებდნენ. ყოველივე ეს იმ დროს ძალზე დიდ რისკთან დაკავშირებული, გმირობის ტოლფასი იყო. ა.რაფავას მხარდაჭერით ყოფილი ქართველი ტყვეები არ დასაჯეს და დააჯილდოვეს კიდეც. რაფავას ამ გაბედულ აზრს ეწინააღმდეგება რუხაძე. მან საწადელს რამდენიმე წლის შემდეგ მიაღწია, მაშინ, როდესაც ა.რაფავა იუსტიციის მინისტრად გადაიყვანეს. რუხაძემ ქართველი რეპატრირებული მეომრები ერთ ღამეში გადაასახლა შუა აზიაში. რა შეიძლება ითქვას ა.რაფავაზე, რომელიც ასეთ რისკზე მიდის? ალბათ ის, რომ 1. ის არის ვაჟკაცი, 2. კარიერა მისთვის არ არის მთავარი და ის არავითარ შემთხვევაში არ არის სასტიკი და ულმობელი“.*** *აი ეს ამონარიდი მინდოდა მომეყვანა მკითხველისთვის ამ ბროშურიდან.*

**— ქალბატონო ეკა, საბჭოთა კავშირის ნგრევის შემდეგ გაიხსნა უშიშროების არქივები, მათზე დაყრდნობით უამრავი მასალა გამომზეურდა. გადაფასდა შეხედულებები, მაგრამ ზოგიერთი მკვლევარი კვლავ ჯიუტად ორმოცდაათიანი წლების პრესაზე დაყრდნობით აშუქებს ამა თუ იმ მოვლენას. თქვენ აღნიშნეთ, რომ ამგვარი ტენდენცია შეინიშნება ბატონ რევაზ კვერენჩხილაძის სტატიაშიც. თქვენი აზრით რით შეგიძლიათ ახსნათ ბევრი შეუსაბამობა, რამაც თქვენი პროტესტი გამოიწვია?**

— საქმე ისაა, რომ კვერენჩხილაძის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მართლაც ეყრდნობა 1953-1955 წლის პრესას. რატომ ვარ ასე დარწმუნებული? მოგახსენებთ: სწორედ იმდროინდელ ფრაზებს ვცნობ მის საუბარში. იკითხავთ, როგორ შეიძლება 10 წლის ბავშვმა დაიმახსოვროს და მთელი სამოცი წლის მანძილზე ახსოვდეს ეს? როდესაც ასეთ ტკივილს მოგაყენებენ, აუცილებლად დაიმახსოვრებ. მე კი იმდროინდელი პრესის ენით საუბარი არასწორად მიმაჩნია და აი, რატომ: დღეს რუსეთში და არა მარტო რუსეთში მეტად პოპულარულია იური მუხინის წიგნი „სტალინის მკვლელები“. იქ ნათლადაა წარმოსახული, რომ 1953 წლის მარტში შეთქმულთა ჯგუფმა (ხრუშჩოვი, მალენკოვი, იგნატიევი, მოსკალენკო, ბატიცკი და სხვ.) მოწამლეს სტალინი. შემდგომ, იმის შიშით, რომ ლავრენტი ბერია ახლოს იყო დანაშაულის გახსნასთან, ისიც ყოველგვარი სასამართლოს გარეშე მოკლეს. მისი ე.წ. „სასამართლო პროცესი“ და ბრალდებები ინსცენირება და კარგად დადგმული სპექტაკლი იყო. ბერიას ბრალად წაუყენეს რეპრესიები, გადამეტებული სისასტიკე, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება (თითქოს ყველაფრის თანამონაწილეები თვით არ ყოფილიყვნენ). წიგნში ნათლადაა აღწერილი იმ რეფორმების მიზნები, რომლის განხორციელებასაც ეს ორი ქართველი (სტალინი და ბერია) აპირებდა. რეფორმების შედეგად უნდა შესუსტებულიყო კომუნისტური პარტიის და გაზრდილიყო საბჭოების როლი ქვეყნის მართვაში. ამის შემდეგ პარტიული ელიტა, რომელიც ასე შესანიშნავად შეეწყო პრივილეგიებს, უფუნქციოდ რჩებოდა. მათ წარმატებით განახორციელეს (1953 წელს სტალინის მოწამვლით) სახელმწიფო გადატრიალება და თავის დაზღვევის მიზნით ჯერ დააპატიმრეს (1953 წ.) და შემდეგ დახვრიტეს (1955 წ.) საბჭოთა კავშირის უშიშროების მაღალი რანგის თითქმის ყველა თანამშრომელი (მამა ამ დროს უშიშროებაში აღარ მუშაობდა, მაგრამ მასაც შეეხო რეპრესიები). ახალ მთავრობას ეს მასობრივი მკვლელობა უნდა გაემართლებინა. ყველაზე მომგებიანი კი რეპრესირებულთა დისკრედიტაცია, ხალხში მათდამი სიძულვილის ჩანერგვა, ფაქტების გადასხვაფერება-დამახინჯება იყო.

ძალაუფლებისთვის ბრძოლაში ყველაზე ნაცადი ხერხია პოლიტიკოსების მიერ ხალხით მანიპულირება. ტოტალიტარულ ქვეყანაში კი ამის საუკეთესო იარაღი პროპაგანდა და აგიტაციაა. საბჭოეთში კი ყოველივე ამას მართლაც ნოყიერი ნიადაგი ჰქონდა 30-იანი წლების რეპრესიებისა და სამამულო ომის ფონის გათვალისწინებით (ჯალათები, მოღალატეები, ყოფილი ტყვეები). სწორედ ამ დროს ამუშავდა საბჭოთა პრესა დაპატიმრებულთა წინააღმდეგ. ბევრ დამნაშავეს (მართლაც დამნაშავეს) უდანაშაულოებიც მიაყოლეს, რადგან იმ დროს მაღალი თანამდებობები ეკავათ. სწორედ ამ დროის პრესასა და მოგონებებს ეყრდნობა ბატონი რევაზ კვერენჩხილაძე.

**— ქალბატონო ეკა, რამდენადაც ცნობილია, მამათქვენი ბერიას სიცოცხლეშიც იყო დაპატიმრებული, მაგრამ იგი გაამართლეს და მაღალ თანამდებობაზე დანიშნეს კიდეც.**

— მართალია. 1951 წელს მამა დააპატიმრეს ე.წ. „მეგრელთა საქმეზე“, ანუ როგორც „მეგრული ანტიპარტიული ნაციონალური ჯგუფის“ წევრი. ამ ჯგუფის წევრებს თურმე სურდათ „კავკასიაში ომის დროს გერმანელები შემოეშვათ და მათი პროტექტორატით კავკასია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ექციათ“. დაპატიმრებული იყვნენ მეგრული წარმოშობის თითქმის ყველა მაღალჩინოსანი, ყველა პროფესიის ადამიანები. მათ წინააღმდეგ ულმობელი ბრძოლა იყო გაჩაღებული. ეს ყველაფერი ემსახურებოდა ბერიას კომპრომატს სტალინის წინაშე. ოთარ ჭითანავასა და გიორგი ხუფენიას თავიანთ წიგნში დასახელებული ჰყავთ ის ადამიანები, რომლებიც ათასგვარ ბრალდებებს თხზავდნენ „შეთქმულთა წინააღმდეგ“. მამა 1953 წელს გაათავისუფლეს და სახალხო კონტროლის მინისტრად დანიშნეს.

**— ქალბატონო ეკა, თქვენ იმ წელს როდესაც მამათქვენი მეორედ დააპატიმრეს და დახვრიტეს, უნივერსიტეტის სტუდენტი იყავით. წლების განმავლობაში მოღვაწეობდით მოსკოვში, თბილისში და უცხოეთშიც. იქნებ თქვენს მოღვაწეობაზეც მოგვითხროთ ორიოდ სიტყვით?**

— სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე და თბილისში უნივერსიტეტში ჩავაბარე. პროფესიით ბიოქიმიკოსი ვარ. მივსდევდი სპორტს, მონაწილეობა მივიღე ლენინგრადში მოსწავლეთა პირველ სპარტაკიადაზე. მამა სწორედ იმ წელს დაიჭირეს და დახვრიტეს. დავიცავი დისერტაცია, ვასწავლიდი თბილისის უნივერსიტეტში, ვმუშაობდი კათედრის გამგედ სამედიცინო ინსტიტუტში, მოსკოვში — ასპირანტურაში, ვარ ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. რაც შეეხება უცხოეთში მოღვაწეობას, ეს მართლაც მოულოდნელად მოხდა. თბილისში ოთხმოციანი წლების მიწურულს, როდესაც საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის ურთიერთობა დათბა და რკინის ფარდა აიხადა, გავიცანი ამერიკელი იურისტი ქალბატონი. შემომთავაზა ჩემი სპეციალობის ამერიკელ მეცნიერებს დავკავშირებოდი, შესაძლებლობა მომეცემოდა ჩემს ქალიშვილთან ერთად, რომელიც სკოლის მოსწავლე იყო, ამერიკაში გამეგრძელებინა მოღვაწეობა. მაშინ ეს ყველაფერი ლამაზ ზღაპრად მომეჩვენა. მეუღლე გარდაცვლილი მყავდა. ამერიკაში ვინ გამიშვებდა „ხალხის მტრის შვილს“. საბუთები მაინც გავაგზავნე. ამ დროს მეცნიერთა გაცვლის თაობაზეც მიმდინარეობდა მოლაპარაკებები საბჭოთა კავშირსა და ამერიკას შორის. ჩემდა გასაკვირად, სულ მალე მივიღე წერილი ჩიკაგოს სამედიცინო ცენტრის ბიოქიმიის დეპარტამენტიდან დოქტორ კეტნერის ხელმოწერით. ამ წერილით შემატყობინეს თუ რა პრობლემებზე მუშაობდნენ და ჩემი გამოკვლევებით რა წვლილი შემეძლო შემეტანა მათ საქმიანობაში. საგონებელში ჩავვარდი, მე ამ სფეროში არასოდეს მიმუშავია. ჩავედი მოსკოვში, ბიბლიოთეკაში მოვიძიე ყოველგვარი მასალა და ჩემი იდეა გადავაგზავნე ჩიკაგოში. სამ დღეში მოწვევა მივიღე და ასე აღმოვჩნდი შვილთან ერთად ამერიკაში. ეს იყო 1990 წელი. სამედიცინო ცენტრი უზარმაზარ კომპლექსს წარმოადგენს. ის თითქმის პატარა ქალაქია უზარმაზარი კლინიკით, ლაბორატორიებით, კვლევითი ცენტრებითა და აუდიტორიებით. მეტად საინტერესო კვლევებში მივიღე მონაწილეობა. ჩემი ნაშრომი წარადგინეს კალიფორნიაში სიმპოზიუმზე. ჩავედით ლოს-ანჯელესში. ნაშრომი დაიბეჭდა სამეცნიერო ჟურნალში. აღმოჩნდა, რომ ჩიკაგოს სამედიცინო ცენტრში მე ვიყავი პირველი საბჭოთა მეცნიერი, რომელიც მოწვეულის სტატუსით მუშაობდა. ამერიკელთათვის ყველაფერი საინტერესო იყო ჩვენს შესახებ. აინტერესებდათ ქართული კულტურა, ტრადიციები, ისტორია, ლიტერატურა. ჩასვლისთანავე სამეცნიერო მოხსენება გავაკეთე ჩემი სამუშაოს შესახებ და მათივე თხოვნით — თხუთმეტწუთიანი მოხსენება ჩემი სამშობლოს შესახებ. საბედნიეროდ, წაღებული მქონდა უამრავი ფერადი სლაიდი, რომელზეც ჩვენი ქვეყანაა ასახული. უზარმაზარ დარბაზში ტევა არ იყო. ეს იყო წუთები, როდესაც ყველაზე ბედნიერი ვიყავი ცხოვრებაში.

**— დარჩენა არ სცადეთ, ქალბატონო ეკა?**

— როდესაც ორწლიანი მივლინება დასრულდა, შემომთავაზეს მივლინების გაგრძელება. ჩემს ქალიშვილს კი — წარდგინება კოლეჯში. მაგრამ... გულმა სამშობლოსკენ გამომიწია. უფრო სწორედ ჩემმა გოგონამ არჩია ასე და დავბრუნდით საქართველოში.

* * *

დაბოლოს, კვერენჩხილაძის სტატიის წაკითხვის შემდეგ თავი ვიგრძენი ნიკიტა მიხალკოვის ფილმიდან იმ პატარა, დალეულ გოგონად, რომელიც გენერალი მამის გვერდით დგას და რევოლუციის დღესასწაულზე სამხედრო წესით სალამს აძლევს მათ წინ ჩავლილ მგზნებარე პიონერებს, ფილმის ბოლოს იგივე გოგონა, კუთხეში არის მიმწყვდეული და მის გარშემო იგივე პიონერები გააფთრებით ყვირიან „Позор, позор!!!“... ბევრი ვცადე ამ მდგომარეობიდან გამოსვლა, მაგრამ კვერენჩხილიძეები არ მაძლევენ ამის საშუალებას — როგორც გალაკტიონი იტყოდა „თვალებში ყორნების მქენჯნიან კლანჭები“.

**მამუკა ვაშაკიძე.**



ა. რაფავა შვილებთან ერთად კიროვის ბაღში. 1949 წ.



ბორის აკუნინის წერილი ვლადიმერ პუტინს:

# წასულიყავით, ვიდრე დრო გაქვთ

**ცნობილი მწერალი ბორის აკუნინი ვლადიმერ პუტინს სთავაზობს, ვიდრე გვიანი არ არის, „გაემიჯნოს სამუდამო მმართველობას“, რათა მან საბოლოო ჯამში მუამარ კადაფის ბედი არ გაიზიაროს.**

თავის ბლოგში აკუნინი წერს, რომ მას „არჩევნების შედეგები მოეწონა“.

„ჯერ ერთი „ქურდების პარტიამ“ ოფიციალური მონაცემებითაც კი 12 მილიონამდე ხმა ვერ დათვალა (2007 წელთან შედარებით) და მიუხედავად სიცრუისა, აგიტაციისა და სიყალბისა, დათვლის დროს რომ მოხდა. მეორე არის ის, რომ ამ სიყალბის უსინდისობამ ნორმალური სამოქალაქო საზოგადოების წევრები შეავსო.

მოსკოვის რომელი მცხოვრები დაიჯერებს, რომ „ედინაია როსიას“ ხმა ჩვენს ქალაქში 46 %-მა მისცა? ჩვენთან ხომ ამ პარტიას მხოლოდ თავად „ქურდები“ და მათი მომსახურეები უჭერენ მხარს და ეს კი უკვე სულ სხვა რიცხვებია“, — წერს აკუნინი.

აკუნინი წერს, რომ რუსეთის მოქალაქეებს:

„მთავარი ცირკი ჯერ წინ გვაქვს. ახლა უკვე ავანსცენაზე გამოვა სამუდამო მმართველობის კანდიდატი. ყველა გაფუჭებული პომიდორი მოხვდება არა ბუტაფორიულ პარტიას, არამედ პირადად მას, ქვირფასსა და საყვარელს. იგი ივლის ქვეყანაში და ამომრჩევლებს შეხვდება. დაუსტვინეთ მას, მას ეს უყვარს. და შეგშურდეთ მოსკოველების. ჩვენ გვაქვს გასაოცარი შესაძლებლობა, ავახმიანოთ ყველა საყვირი, როდესაც ნაციონალური ლიდერი პარალიზებულ საავტომობილო საცობებთან ჩაიქროლებს. დუ-დუ ვლადიმერ ვლადიმერის ძევ! გესმით ჩვენი ხმები? და მერე პრესსამსახურის ხელმძღვანელი განმარტავს, რომ ეს აღფრთოვანებული ხალხის ხმა იყო“, — წერს მწერალი.



აკუნინი ვლადიმერ პუტინსაც მიმართავს.

„ბარემ, რამდენიმე სიტყვას ვლადიმერ ვლადიმერის ძესაც ვეტყვი. მე თქვენ მეცოდებით. ამას ყოველგვარი სარკაზმის გარეშე გეუბნებით. არ არის საჭირო, იყო ნოსტრადამუსი, თქვენი ბედი რომ დაინახო. უცილობლად შეიქმნება სიტუაცია, რომ ქვემოთ უკვე აღარ სურთ, მაღლა კი უკვე გაიხრწნენ, ფული კი გათავდა. ქვეყანაში დაიწყება არეულობა. კეთილად წასვლა თქვენთვის უკვე დაგვიანებული იქნება, თქვენ სროლის ბრძანებას გასცემთ და დაიღვრება სისხლი, მაგრამ მაინც ჩამოგაგდებენ. მუამარ კადაფის ბედს არ გისურვებთ, ამას გულწრფელად გეუბნებით. წასულიყავით, ვიდრე ჯერ კიდევ დრო გაქვთ... კეთილშობილური მიზეზი ყოველთვის მოიძებნება. ჯანმრთელობის პრობლემები, ოჯახური პირობები, მთავარანგელოზის გამოცხადება. მიგეცათ სადავეები მემკვიდრისთვის (სხვანაირად ხომ თქვენ არ იცით, ის კი, თავის მხრივ, თქვენს უშფოთველ სიბერეზე იზრუნებს. წარმოიდგინეთ და შეგძრათ: საზოგადო სიძულვილი, მარტოობა, ხვალინდელი დღის შიში, აუცილებლობა სულ უფრო და უფრო ჩაეფლო ტალახში და გარემოცვაში სულ უფრო და უფრო საშინელი ნაძირალები შემოიკრიბა. თქვენ ეს გჭირდებათ?“ — ეკითხება პრემიერს აკუნინი.

ჯი-ეიჩ-ენი

---

**ცხინვალი სამოქალაქო სისხლისღვრის რეალური საფრთხის წინაშე დგას. თითმარქვია კოკოითმა რუსეთთან „სახელმწიფო საზღვრის“ ჩაკეტვის გადაწყვეტილება მიიღო. ანალიტიკოსები ოპონენტების მოსალოდნელ დარბევაზე საუბრობენ. ალა ჯიოევამ ჯაბეევიჩისთვის სამდღიანი ულტიმატუმის წაყენების შემდეგ უკან დაიხია და რუსეთს „პოლიტიკური თავშესაფარი“ სთხოვა.**

**ამ თემაზე კავკასიის საკითხებში ექსპერტ, მამუკა არეშიძეს ვესაუბრებით.**

# კოკოითმა მიზანს მიაღწია

— ადმინისტრაციული საზღვრის დაკეტვა, დე ფაქტო გენპროკურორის სახლზე მიტანილი შეტევა მაფიქრებინებს, რომ კოკოითი მომიტინგეების წინააღმდეგ რეპრესიებს ამზადებს.

**— კონკრეტულად რაში შეიძლება გამოიხატოს ეს რეპრესია?**

— საზღვრის დაკეტვის ფაქტი რომ არ ყოფილიყო, ხუგაევის სახლზე ნაღმსატყორცნიდან განხორციელებულ სროლაზე ვიფიქრებდი, რომ ეს რომელიღაც გამწარებული პროტესტანტის ნამოქმედარია. მოგეხსენებათ, რომ მათ შორის ბევრი ყოფილი მეომარია. ნაბიჯების კომპლექსი მაფიქრებინებს, რომ კოკოითს დახურული სივრცე სჭირდება რეპრესიებისთვის მომიტინგეების დასაპატიმრებლად ან დასარბევად. თან ამ სიტუაციაში, ზედმეტი მოდარაჯე თვალიც არ სჭირდება.

**— რას გულისხმობთ?**

— ადმინისტრაციული საზღვრის დაკეტვა, რეგიონის ტერიტორიაზე ჟურნალისტების არშემოშვებას გულისხმობს. ამას გარდა, იმ ოპოზიციონერების ბლოკირებას, რომლებიც ამ დროისთვის ჩრდილოეთ ოსეთში იმყოფებიან. სხვათა შორის, ალა ჯიოევას ნათქვამიც, რომ თავშესაფრის მიღება სურს, მაფიქრებინებს: მან კოკოითის გეგმების შესახებ გაიგო. ამიტომ თქვა ის, რაც თქვა. საგულისხმოა ისიც, რომ მთელი ეს დღეები ედუარდ კოკოითი ქართულ კვალზე საუბრობს.

**— აქვს თუ არა ამ ბრალდებას რაიმე საფუძველი?**

— ეს შავი პიარია იმ მიზნით, რომ ოპოზიციის დისკრედიტაცია მოახდინოს. სხვა არანაირი მონაცემები არ მაქვს გარდა იმისა, რომ გარკვეული კონსოლიდირებული აქტიურობა შეინიშნებოდა ქართველებით დასახლებულ ახალგორის რაიონში. ფაქტია, კოკოითი ამაზე საუბრობს. ცხინვალში და მოსკოვში რუსები მას უსმენენ. გამოდის, რომ საზღვარი დაუცველი ყოფილა და ქართული სპეცსამსახურები ცხინვალში შედიან და გამოდიან. არადა, კოკოითს რომ ჰკითხო — საზღვარი ისე დაცულია, იქ ჩიტი ვერ შეფრინდებაო. როცა უნდათ, სულ სხვა ენაზე ჭიკჭიკებენ. დარწმუნებული ვარ, რომც იყოს გარკვეული აქტიურობა ქართული მხრიდან, ეს კოკოითის მხრიდან ზედმეტად გაბერილი ამბავია. პრინციპულად, მან მიაღწია იმას, რაც უნდოდა — შექმნა მისთვის აბსოლუტურად მომგებიანი სიტუაცია.

**— მაინც რა რეალობაზეა საუბარი?**

— 2004 წლის სოხუმისგან განსხვავებით, როდესაც ორი ძირითადი ძალა — აფხაზური საზოგადოება და კრემლის ხელი — იყო ჩარეული, ცხინვალში წინა პლანზე სამი დაპირისპირებული მხარე გამოვიდა — ოსური საზოგადოება, კრემლი და კიდევ კოკოითი, რომელსაც პირველი ორი ძალისგან აბსოლუტურად განსხვავებული ინტერესები ჰქონდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში საკუთარ თამაშს თამაშობდა. კოკოითმა მოსკოვიდან ვერ მიიღო გარანტიები, რომ მისი ქონება შენარჩუნდებოდა, რაღაც ფორმით არსებული სიტუაციაც დარჩებოდა და, რაც მთავარია, მისი სიცოცხლე დაცული იქნებოდა. ამის გამო მან თავისი თამაში წამოიწყო. ჯერ კიდევ პირველი ტურის წინ ვთქვი, რომ კოკოითი არჩევნების ჩასაშლელად ყველაფერს გააკეთებდა. პრაქტიკულად, მიზანს მიაღწია კიდეც. მართალია, იმ ფორმით არა, როგორც მეგონა, მაგრამ მთავარი გაკეთდა — კენჭისყრა გადადებულია. საბოლოოდ, კოკოითმა მოსკოვს აჩვენა, თუ ვინ არის მდგომარეობის ბატონ-პატრონი. აჩვენა ისიც, რომ ყველა წამოყენებული კანდიდატი მისი ნების გარეშე ვერაფერს გახდება, იქნება ეს ანატოლი ბიბილოვი თუ სხვა ვინმე. რაც ყველაზე მთავარია, 25 მარტამდე ძალაუფლება გაიხანგრძლივა. ძალიან კარგი ბაზა შექმნა რუსეთთან სარფიანად სავაჭროდ. 25 მარტის მერეც მას შეუძლია ისეთი რამ მოიფიქროს, რომ კიდევ გაიხანგრძლივოს ყოფნა; ევაჭროს რუსეთს, თუ მანამდე ვერ დაიყოლია. მოსკოვში ყველაფერს ხვდებიან, მაგრამ ვერაფერს აკეთებენ. მთელი კომიზმი ამ სიტუაციაში სწორედ ეს არის.

**— როგორ განვითარდება სიტუაცია, თქვენი პროგნოზი როგორია?**

— იმ შემთხვევაში, თუ კოკოითი პირდაპირ რეპრესიებზე წავიდა, არ გამოვრიცხავ, რომ კონფრონტაცია და ღია დაპირისპირება მოხდეს. აქაც კოკოითი ყველაფერზე წავა და უკან არაფერზე დაიხევს. მას ერთგვარი გეგმა „ნომერი ორი“ ექნება და აუცილებლად მოინდომებს ოფიციალური თბილისის და მოსკოვის დაჯახებას, ამას იმით გააკეთებს, რომ ადმინისტრაციულ საზღვარზე პროვოკაციას მოაწყობს, მით უმეტეს — გაუთავებლად საუბრობს იმაზე, რომ ამ საქმეში ქართული სპეცსამსახურები არიან ჩართული. ორი ვარიანტია — ან ოპოზიციას ისე დაარბევს, რომ მაინცდამაინც დიდი ხმაური არ ატყდება; თუ ხმაური და სროლა მაინც ატყდა, მაშინ ამ მეორე ტიპის ღონისძიების განხორციელებას მოინდომებს.

**— შესაძლო გართულების შემთხვევაში, ამ დროისთვის თამაშგარედ დარჩენილმა ქართულმა მხარემ რა პოზიციები უნდა დაიკავოს?**

— ჯერ ერთი, ქართულ მხარეს აქამდეც სხვა ტიპის აქტივობა მართებდა. არა ის, რომ არ ვცნობთ ამ კენჭისყრას და ა.შ. ეს ისედაც გასაგები ამბავია. ამას გარდა, როდესაც ცხინვალში მდგომარეობა განსაკუთრებით დაიძაბა და ოპოზიციამ თავისუფალ სამყაროს რეაგირებისთვის მიმართა, ქართულ მხარესაც ამ ტიპის განცხადებები უნდა გაეკეთებინა და მსოფლიოს ყურადღება მიმდინარე პროცესებისადმი მიექცია. რასაკვირველია, ძალიან ღონისძიებები არ განხორციელდებოდა; მაგრამ შეფასებითი ნაწილი უფრო მეტი და რუსეთზე ზემოქმედებაც უფრო გამოხატული იქნებოდა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ რუსეთი ახლა ისედაც ურთულეს მდგომარეობაშია. სოფელში ვერ მოაწყო კენჭისყრა ნორმალურად. თავის ქვეყანაში ხომ არჩევნები საერთოდ ჩააგდო. რეალურად ასე გამოვიდა. რუსეთის ხელისუფლება ახლა ძალიან გაღიზიანებულ მდგომარეობაშია, ამიტომ მასზე ზემოქმედების საშუალება ნამდვილად არსებობდა და არსებობს კიდეც. საქართველოს მხარემ აუცილებლად უნდა იზრუნოს ადმინისტრაციული საზღვრის მთელ პერიმეტრზე. ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ტაქტიკური თვალსაზრისით როგორ უნდა მოიქცეს საზღვრის გასწვრივ, ამას ხელისუფლებას ვერ ვასწავლი. განსაკუთრებული მობილიზება კი საჭირო და მნიშვნელოვანია.

**— ისიც ითქვა, რომ ზოგიერთი თბილისური სტრუქტურა ახალგორში ჯიოევას მხარეს მუშაობდა. რა შეიძლებოდა ყოფილიყო ამ შემთხვევაში მოტივაცია?**

— აქ ყველაფერი ზედაპირზე დევს. ადამიანი, რომელმაც ქართველების საშინელ ეთნოწმენდაში მონაწილეობა მიიღო, სათავეში არ უნდა იყოს. მის მხარდამჭერად არ უნდა გამოდიოდე. ქართულ მხარეს შეიძლება ორი მიზანი ჰქონოდა — ერთი, რომ ჯიოევა და მის უკან მდგომი თედეევი შეიძლება უფრო მისაღები ყოფილიყვნენ როგორც პარტნიორები მომავალი დიალოგისთვის. მეორე მხრივ — მავანისთვის ჩვენება, რომ ჩვენც მიგვიწვდება ხელი, თუნდაც ახალგორის რაიონში მიმდინარე პროცესებზე.

ნიკა მეტრეველი

---

## დედამიწის ზურგზე



**რუსეთმა კოსოვოელ სერბებს მოქალაქეობის ნაცვლად საბნები და პროდუქტები გადასცა**

რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტრომ კოსოვოში გაგზავნა 25 ავტომანქანა ჰუმანიტარული დახმარებით: ესაა მობილური ელექტროსადგურები, ჭურჭელი, საველე ავეჯი 284 საერთო ტონით. ავტოკოლონები კოსოვოში, სავარაუდოდ, 12 დეკემბრისთვის ჩავლენ. ადრე მოსკოვმა კოსოველ სერბებს უარი უთხრა რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებაზე.

**აშშ-ში დედამ ესროლა ორ შვილს და თავი მოიკლა ხელისუფლების მიერ მისთვის შეღავათების მინიჭებაზე უარის თქმის შემდეგ**



ქალაქ ლარედოს (ტეხასის შტატი) 38 წლის მცხოვრებმა, რომელსაც უარი უთხრეს სოციალურ მხარდაჭერაზე, მძევლად აიყვანა ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომელი. მოლაპარაკებიდან რამდენიმე საათის შემდეგ მან ესროლა საკუთარ შვილებს და თავის თავსაც. ქალი საავადმყოფოსკენ მიმავალ გზაზე გარდაიცვალა. ბავშვების გადარჩენისთვის იბრძვიან ექიმები, ისინი კრიტიკულ მდგომარეობაში არიან.

**ახალ ორლეანში დაშალეს მოძრაობა „მოახდინე უოლსტრიტის“ ოკუპაციის მონაწილეთა კარვის ბანაკი**



აქციის მონაწილეები ვაშინგტონში კი კონგრესამდე მივიდნენ. გასულ კვირას პოლიციამ დაშალა კარვის ბანაკი ლოს-ანჯელესში და ოკლენდში, ფილადელფიაში, პორტლენდსა და ნიუ-იორკში. ამის შემდეგ მოძრაობის მონაწილეებმა გადაწყვიტეს შეცვალონ ტაქტიკა.

**ათენში დააკავეს და დააპატიმრეს დაახლოებით 50 ანარქისტი, რომლებმაც პოლიციელების მიერ მოზარდის მკვლელობის წლისთავი უწესრიგობით აღნიშნეს**

შეტაკების მონაწილეები პოლიციელების მისამართით ისროდნენ ასაფეთქებელ ნარევებს, ქვებსა და მარმარილოს ნატეხებს, რომლებიც სადგურის მეტროს გამოსასვლელებიდან და ძვირფასი სასტუმროების კედლებიდან ცვიოდა საბერძნეთის დედაქალაქის ცენტრში. 15 წლის ალექსის გრიგოლოპულოსის მკვლელობამ 2008 წლის 6 დეკემბერს გამოიწვია საბერძნეთისთვის ახალგაზრდობის უპრეცედენტო შეტაკება პოლიციასთან.



## გადავარჩინოთ ბორჯომის ტყეები!

# ხეები ზეზეურად ხმებიან...

**„ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, მიწას, სასარგებლო წიაღისეულს, წყალსა და ტყეს, ასევე მუზეუმებსა და არქივებს, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვთ და მათი გაყიდვა-გასხვისება არ შეიძლება, საჭიროა სახელმწიფოს მიერ შემუშავებულმა კანონებმა დაიცვას ერის ეს საუნჯე".**

**ილია II**

ამას წინათ რედაქციაში რამდენიმე ასაკოვანი ადამიანი მესტუმრა და გულისტკივილით მისაყვედურა, პლატოზე ნაძვები პირწმინდად ხმება და რედაქცია ხმას არ იმაღლებს, წერილი მაინც გამოაქვეყნეთ, იქნებ ჩვენს ტყეებში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობის გამო ვინმე ღვთისნიერი მშველელად გამოუჩინდესო.

სტუმრებს ტყეებთან დაკავშირებით გაზეთის ფურცლებზე ამ სამი წლის მანძილზე გამოქვეყნებული წერილები ვაჩვენე, შემდეგ ბუნების დაცვის სამინისტროში გაგზავნილი წერილების სიაც დავუდე წინ (სამწუხაროდ, არც ერთზე პასუხი არ მიგვიღია).

ჩვენი ხეობის ტყეების გულშემატკივარ ადამიანებთან ერთად დიდხანს ვისაუბრეთ შექმნილ მდგომარეობასა და მის მომავალზე, საბოლოოდ ერთ დასკვნამდე მივედით — ბორჯომის საზოგადოების სახელით ღია წერილი გავუგზავნოთ ეკონომიკის სამინისტროს და კიდევ ერთხელ შევახსენოთ ბორჯომის საკურორტო ტყეების სავალალო მდგომარეობის შესახებ.

წერილის მომზადებას წინ რაღა დაუდგება, კიდევ დავწერთ და თუ ამჯერად მაინც გამოგვეხმაურებიან და შექმნილი სიტუაციის აღმოსაფხვრელად კონკრეტულ ნაბიჯებსაც გადადგამენ, მოხარული ვიქნებით.

ჩვენს ტყეებში კი ნამდვილად საგანგაშო სიტუაცია შეიქმნა, ჯერ იყო და, 2008 წლის ხანძარმა წაღვერის ტყეში 1000 ჰექტარი ნაძვნარ-ფიჭვნარი გაანადგურა, შარშან სადგურის გაღმა მდებარე ტყეს ხანძარმა სერიოზული ზიანი მიაყენა, სამწუხაროდ, განვლილ პერიოდში ერთი ხეც არ დარგულა ამ სერიოზული დანაკლისის გამოსასწორებლად. ვერც ის დავადგინეთ, ვინაა პასუხისმგებელი დამწვარი ტერიტორიების აღდგენაზე.

ზემოთ ნათქვამს ისიც უნდა დაემატოს, რომ თითქმის მთელ ხეობაში, ნაძვნარ კორომებს საშიში მწერი — ქერქიჭამია ტიპოგრაფი შეესია და შედეგად პლატოს უნიკალურ ტერიტორიაზე თორში, წაღვერში, მზეთამზეში, ბაკურიანში, დაბაძველში და სხვაგანაც ხმება ნაძვნარი.

ამ საშიში დაავადების გავრცელების თაობაზე ჯერ კიდევ ა. წ. ივნისში ჩვენმა გაზეთმა გამოაქვეყნა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ვასილ გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის მანანა ჭყოიძის ვრცელი წერილი სათაურით: „ვიდრე საბოლოოდ არ დაგვიანებულა!" წერილში ხაზგასმული იყო მოწოდება — გადავარჩინოთ ბორჯომის ხეობის უნიკალური ტყეები ქერქიჭამია ტიპოგრაფის ფართომასშტაბიანი აფეთქებისგან! ამასთან, მეცნიერი ქალბატონი მიუთითებდა, რომ ვ. გულისაშვილის სატყეო ინსტიტუტში დამუშავდა პროექტი „სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ტყეების პათოლოგიური მდგომარეობის მონიტორინგი და მავნე მწერებისგან ინტეგრირების დაცვის ახალი სისტემა". როგორც წერილიდან ირკვევა, ინსტიტუტმა ჯერ კიდევ 2010 წელს ქერქიჭამია ტიპოგრაფის პოპულაცია ფიზიოლოგიური აქტიურობის ორწლიანი შეფასების საფუძველზე ინოვაციური მეთოდის გამოყენებით მეორედ გამოაქვეყნა ინფორმაცია ბორჯომის ხეობაში ტიპოგრაფის მოსალოდნელი განმეორებითი აფეთქების შესახებ, ამ მავნებელმა 2003 წელს ათასობით ნაძვი გაახმო და გაანადგურა, ხოლო პროგნოზი ტიპოგრაფის გააქტიურების შესახებ ექსპრეს-ჰემატოლოგიური მეთოდის გამოყენებით ჯერ კიდევ 1999 წელს დამუშავდა და გადაეცა სატყეო დეპარტამენტს. სამწუხაროდ, სახელმწიფომ პრევენციული ღონისძიების ჩასატარებლად თანხა ვერ მოიძია, შედეგი სავალალოა — 2003 წელს ტყის 40-50 პროცენტი მთლიანად დაზიანდა.

მავნებელი მწერის მოქმედება არც დღეს შეწყვეტილა და უფრო დიდი არეალი მოიცვა: გამეჩხერებული, ნახანძრალი და დაუძლურებული ტყეები, რომლებიც ტიპოგრაფის შემოტევას ვეღარ გაუძლებენ და შესაძლებელია, ხეობის საკურორტო ტყეები ეკოკატასტროფის წინაშეც დადგეს.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ 2003 წელს გამოიყენეს ბატონ ბიძინა ივანიშვილის მიერ შეძენილი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერების ფერომონ „ვერტენოლის" 6 ათასი ცალი მწერდამჭერი კომპლექტი, სამწუხაროდ, პრეპარატის დიდი რაოდენობით შემოტანის მიუხედავად, იგი საკმარისი არ აღმოჩნდა.

დამუშავებულია ქერქიჭამია ტიპოგრაფის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგია, რომელიც გამორიცხავს მავნებლებთან ბრძოლის ქიმიურ მეთოდებს, ფერომონიანი მწერსაჭერების ეფექტიანი და რაციონალური მართვის საშუალებას იძლევა. ეს მეთოდი 2003-2004 წლებში გამოიცადა ბორჯომის და ბაკურიანის ტყეებში. ექსპერიმენტმა კარგი შედეგი გამოიღო და მოიწონეს უცხოელმა სპეციალისტებმა.

ამ მეთოდის სიკეთეს აღიარებენ ადგილობრივი სპეციალისტებიც, რომლებიც დიდი გულისტკივილით აცხადებენ, — ტყე უპატრონოდ დარჩა და თუ ასეთი გულგრილი დამოკიდებულება ახლო მომავალშიც გაგრძელდება, ბორჯომის ხეობის ტყეებს განადგურება დაემუქრებაო.

მართლაც საცოდაობაა გამხმარი ხეების ხილვა, რომლებიც მავნე მწერების შემოსევის შედეგად 5-6 თვეში ხმებიან. როგორც ბორჯომელი პრაქტიკოსი სპეციალისტები აცხადებენ, ქერქიჭამია ტიპოგრაფი იზამთრებს ხმელი ხეების ქერქში ხოლო 15-გრადუსიანი დათბობის პირობებში, აპრილიდან გამოდის გარეთ და ჯდება ნაძვის ხეზე, დებს 60-დან 120 კვერცხამდე. ერთ მწერს შეუძლია ერთი ხის გახმობა, ხოლო მეორედ გამრავლების შემდეგ 60-120 ხის გახმობა.

როგორც მეტყევე სპეციალისტები აცხადებენ, სასწრაფოდ უნდა შეიქმნას სამთავრობო კომისია, რომელიც საფუძვლიანად შეისწავლის ჩვენს ტყეებში შექმნილ საგანგაშო მდგომარეობას და მიიღებს გადამჭრელ ზომებს დაავადების აღმოსაფხვრელად. მანამდე კი სასწრაფოდ უნდა მოიჭრას დაავადებული ხეები, გაიქერქოს მორები და ჯირკვები, დაიწვას ან შეიწამლოს ქერქი, ადრე გაზაფხულზე შემოიტანონ მავნე მწერის დამჭერი ფერომონები, თუ მავნე მწერის წინააღმდეგ არ გამოცხადდა საყოველთაო-სახალხო ბრძოლა, ახლო მომავალში ბორჯომის ხეობაში ნაძვნარები აღარ გვექნება. ბორჯომის ტყეებში გაჩენილი დაავადების აღმოსაფხვრელად დიდი პროფესიონალიზმი და მამულიშვილობა გვესაჭიროება, რათა ჩვენს წინაშე არსებული ეკოლოგიური სიძნელეები გადავლახოთ და შევინარჩუნოთ ნაძვნარები.

ვიმედოვნებთ, რომ ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების დასაცავად ბიზნესმენები, ფირმები, ტყის სპეციალისტები და სამშობლოს გულანთებული შვილები გამოგვეხმაურებიან.

**ვალერიან ლომიძე,**
**გაზეთ „ბორჯომის" რედაქტორი.**

## გვიმრავლოს!



# „საოცარი ბავშვის" მუსიკალური და დედობრივი მშვენიერება

**3 დეკემბერი. ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდი დარბაზი. როიალთან ზის 22 წლის მშვენიერი გოგონა და არტისტულად, ენერგიულად, ლამაზად უკრავს მსოფლიო კლასიკას... დარბაზი სულგანაბული უსმენს უკვე მრავალი საერთაშორისო კონკურსის ლაურეატს თათია შარანგია-შევარდნაძეს.**

ზურაბ ანჯაფარიძის სახელობის 28-ე სამუსიკო სკოლა-კოლეჯი რომ დაამთავრა, იმთავითვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. 12 წლისამ მონაწილეობა მიიღო პარიზში გამართულ კონცერტში „საოცარი ბავშვები" და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მიწვეული ახალგაზრდები, მათი მასწავლებლები, პროფესიონალი მუსიკოსები ერთმნიშვნელოვნად დაარწმუნა, რომ მართლაც საოცარი ბავშვი და პატარა ვირტუოზია... თათიამ გაიმარჯვა საბერძნეთსა და ლიტვაში გამართულ პიანისტთა საერთაშორისო კონკურსებში...

2003 წელს თათია შარანგია-შევარდნაძე ჯერ პარიზის რეგიონულ კონსერვატორიაში ჩაირიცხა, მოგვიანებით სწავლა საფრანგეთის უმაღლეს ნაციონალურ კონსერვატორიაში განაგრძო და შარშან წარჩინებით გაასრულა ამ ერთ-ერთის ყველაზე პრესტიჟული პროფესიული სასწავლებლის სრული კურსი.

მოკლე დროის განმავლობაში თათიამ მრავალი სოლო კონცერტი გამართა, მათგან განსაკუთრებით გამორჩეული იყო 2003 წელს თბილისის კამერულ ორკესტრთან ერთად შესრულებული ბახის კონცერტი (რე მინორი). ორკესტრს ჩვენი ლეგენდარული ლიანა ისაკაძე ხელმძღვანელობდა. 2008 წელს თათია შარანგიამ ევგენი მიქელაძის სახელობის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად (დირიჟორი — რევაზ ტაკიძე), მაყურებელი მოხიბლა რაველის კონცერტით მარცხენა ხელისთვის. ენერგიულმა და შინაგანი საშემსრულებლო ოსტატობით გამორჩეულმა პიანისტმა ეს ურთულესი ნაწარმოები ბისზე (განმეორებით) შეასრულა! იმავე წელს თათიამ შოპენის შემოქმედებით ფესტივალზეც (ფონტებლოში) მოხიბლა მაყურებელი. 2009 წელს კი გერმანიის ქალაქ ჰამბურგში გამართულ კომპოზიტორ ოთარ ტატიშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი კონცერტის მშვენება გახდა...

2011 წლის იანვარში თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში ახალგაზრდა პიანისტმა თავის სოლო კონცერტს რომანტიკული მუსიკის საღამო უწოდა. ამ კონცერტზე ყველამ აღიარა, რომ ეს „საოცარი ბავშვი" სულაც არ ხუმრობს და უკვე ჩამოყალიბებული ოსტატია.

3 დეკემბრის კონცერტზე თათიას გამოსვლა (მან შეასრულა შუბერტის და შუმანის შედევრები) დაამშვენა თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სიმფონიურმა ორკესტრმა თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელის და მთავარი დირიჟორის (ასევე ბეირუთის ალ ბუსტანის ფესტივალის მუსიკალური ხელმძღვანელი), მსოფლიოში აღიარებული მაესტროს **ჯანლუკა მარჩიანოს დირიჟორობით.**

არაფერი სჯობდა იმის ხილვას, როცა მაყურებელმა თათია ბისზე კიდევ ერთხელ გამოიწვია (10-15 წუთი დარბაზში ტაში არ ცხრებოდა), ემოციური იტალიელი მაესტრო ახალგაზრდა მუსიკოსს ხელზე ემთხვია და დარბაზსაც გულწრფელი მადლობა გადაუხადა.

ბრწყინვალედ უთქვამს გოეთეს, — **ხელოვნების მშვენიერება და სიდიადე ყველაზე ნათლად მუსიკაში ვლინდებაო.**

**ეს მშვენიერება იმ დღეს ადვილად აღსაქმელი იყო, თათია შარანგია-შევარდნაძემ, რომელმაც 22 წლის ასაკში ულამაზესი ოჯახის შექმნაც მოასწრო და ორი ვაჟკაცი (ედუარდი და ალექსანდრე) შესძინა ლაშა შევარდნაძეს, საქართველოს გამრავლება-გახარების, მამულის გადარჩენის და კულტურული აღორძინების იმედით აღავსო მაყურებელი...**

**სპარტაკ ქობულია,**

**სურათზე:** თათია შარანგია-შევარდნაძე; ჯანლუკა მარჩიანო.


# განცხადება

## საქართველოს არქიტექტორთა შემოქმედებითი კავშირის წევრთა საყურადღებოდ!

**2011 წლის 24 დეკემბერს, ქ. თბილისში, საგამოფენო კომპლექს „ექსპო-ჯორჯია"-ს ტერიტორიაზე (აკაკი წერეთლის გამზირი №118, პავილიონი №6) გაიმართება კავშირის წევრთა XXV საერთო (საარჩევნო) კრება.**

**მონაწილეთა რეგისტრაციის დასაწყისი 9.30 საათი.**

**კრების მუშაობის დასაწყისი 10.00 საათი.**

**კრების დღის წესრიგი:**

**1. საკ-ის წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ;**
**2. საკ-ის ქონების შესახებ;**
**3. საკ-ის გამგეობის ანგარიში;**
**4. საკ-ის სარევიზიო კომისიის მოხსენება;**
**5. საკ-ის პროფესიული საქმიანობის, საავტორო უფლებების და ეთიკის კომისიის ანგარიში;**
**6. საკ-ის მმართველი ორგანოების არჩევნები;**
**7. სხვადასხვა.**

კრების მონაწილის მანდატები გაიცემა საკ-ის ოფისში 12-დან 22 დეკემბრის ჩათვლით 11-დან 17.00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა).

**საერთო კრების მასალები გამოქვეყნებულია საკ-ის ვებ-გვერდზე www.archunion.ge**

**საქართველოს არქიტექტორთა კავშირის გამგეობა**

**კალათბურთი**

# მოგებასაც ცოდნა უნდა

**ევროჩელენჯის ჯგუფური ტურნირის მეხუთე ტურის წინ სტამბოლის „ბეშიქთაშმა" პლეი-ოფის საგზური გაინაღდა, რის გამოც მისმა ბოსებმა თავს უფლება მისცეს თბილისში რამდენიმე წამყვანი მოთამაშე არ ჩამოეყვანათ.**

მეტიც — „არმიასთან" ბრძოლის პირველ ნახევარში იყო მომენტები, როცა იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს სტუმრებს არცკი აღელვებდათ თამაშის ბედი.

ჰოდა, რაღა რჩებოდათ კოტე ტულუშის შეგირდებს იმ გამარჯვებამდე, რომელიც მათაც ვადამდე მოუტანდა მერვედფინალში თამაშის უფლებას? რა და კარგად დაწყებული საქმის ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანა, რაშიც დაუღალავად ეხმარებოდნენ როგორც სპორტის სასახლის ტრიბუნებზე შეკრებილი ყვითელი ავტობუსებით ორგანიზებულად მიყვანილი საქართველოს შეიარაღებული ძალების ათასობით თანამშრომელი, ისე ვიპ-ლოჟის დამამშვენებელი გიგი უგულავა, ბაჩო ახალაია, ლადო ვარძელაშვილი, აკაკი მინაშვილი, ნუგზარ წიკლაური და თვით ხათუნა ოჩიაურიც კი. ალარაფერს ვამბობთ თავდაცვის სამინისტროსა და მისი გენერალური შტაბის მსხვილფეხ-წვრილფეხობაზე.



პასუხი მარტივია — რამ და პროფესიონალიზმის დეფიციტმა, თორემ ძალებს ზოგავდნენო, ვერავის დააბრალებდი კაცი.

ამ შემთხვევაში ნბა-ში დაბრუნებული გეინსისა და ტრავმირებული დიაზის არყოფნა გამამართლებელ საბუთად არ გამოდგება, რადგან ოსმალურ გრანდს გუნდის ლიდერი, ოკეანისგაღმა გამოძახებული პროფესიული კალათბურთის კაშკაშა ვარსკვლავი უილიამსი გამოაკლდა.

არის კიდევ მასპინძელთა გამოუცდელი მწვრთნელის ფაქტორი, რის შესახებ ადრეც ვწერდით. რაც შეეხება სასელექციო პოლიტიკას, ეს ლატარიას უფრო ჰგავს, როცა თავიდან არავინ იცის, გამოადგება თუ არა მის კოლექტივს ახალწვეული, თუმცა ამჯერად დებიუტანტებზე, განსაკუთრებით ვუდსაიდზე, სასაყვედურო ბევრი არ უნდა გვქონდეს.

**„არმია" — „ბეშიქთაში" 75:77 (20:21, 17:18, 19:11, 19:27ძ.**

**„არმია":** კიელბომი — 17 ქულა, 13 მოხსნა, თომასი — 15 ქულა, 8 მოხსნა, რიჩარდსონი — 15 ქულა, 2 მოხსნა, ვუდსაიდი — 13 ქულა, 2 მოხსნა, ფრეიე — 8 ქულა, 1 მოხსნა, ბოისა — 5 ქულა, 3 მოხსნა, საყვარელიძე — 2 ქულა. ითამაშა აგრეთვე ჰოუკინსმა — 1 მოხსნა.

**ფეხბურთი**

# პლეი-ოფი მსხვერპლს მოითხოვს



**ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურმა ტურნირმა ისეთი ტოპ-კლუბების ამბიციები შეიწირა, როგორიცაა „ვალენსია", „ბორუსია" და „პორტუ". რას ვიზამთ, ასეთია სპორტული ცხოვრება — ყველაფერი რომ ლოგიკურად მთავრდებოდეს, ინტრიგა ხომ დაიკარგება?**

**VI ტური.**

**„ე" ჯგუფი.** „ჩელსი" — „ვალენსია" 3:0 (დროგბა — 2, რამირესიძ, „გენკი" — „ლევერკუზენი" 1:1 (ფოსენი; დერდიოკიძ.

**საბოლოო მდგომარეობა:** „ჩელსი" — 11, „ლევერკუზენი" — 10, „ვალენსია" — 8, „გენკი" — 3 ქულა.

**„ვ" ჯგუფი.** „ოლიმპიაკოსი" — „არსენალი" 3:1 (ჟებური, ფუსტერი, მოდესტო; ბენაიუნიძ, „ბორუსია" — „მარსელი" 2:3 (ბლაშჩიკოვსკი, ჰუმელსი — პენალტით; რემი, აიუ, ვალბუენაძ.

**საბოლოო მდგომარეობა:** „არსენალი" — 11, „მარსელი" — 10, „ოლიმპიაკოსი" — 9, „ბორუსია" — 4 ქულა.

**„ზ" ჯგუფი.** „პორტუ" — „ზენიტი" 0:0, „აპოელი" — „შახტარი" 0:2 (ადრიანო, სელეზნიოვიძ.

**საბოლოო მდგომარეობა:** „აპოელი", „ზენიტი" — 9-9, „პორტუ" — 8, „შახტარი" — 5 ქულა.



**„თ" ჯგუფი:** „ბარსელონა" — ბატე 4:0 (სერხი რობერტო, მონტოია, პედრო — 2ძ, „პლზენი" — „მილანი" 2:2 (ბისტრონი, დურისი; პატო, რობინიოძ.

**საბოლოო მდგომარეობა:** „ბარსელონა" — 16, „მილანი" — 9, „პლზენი" — 5, ბატე — 2 ქულა.

## გუშინ

**მართლაც რომ სასწაული მოხდა საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის ეროვნული თასის გათამაშების საპასუხო მეოთხედფინალურ შეხვედრაში.**

**შეგახსენებთ, რომ იმერული დერბის პირველი მატჩი ქუთაისის „ტორპედოსა" და „ზესტაფონს" შორის ფრედ 1:1 დასრულდა.**

**საპასუხო ბრძოლის 90 წუთის შემდეგ სტუმრები 1:0-ს იგებდნენ, მაგრამ მსაჯის მიერ დამატებულ მცირე დროში ყვირილასპირელებმა ზედიზედ ორი გოლი გაიტანეს და ნახევარფინალში გავიდნენ — 2:1.**

**ვანდალიზმი**

# შარო, საიდან მოდიხარ!

**ეშმაკს არ სძინავსო, ტყუილად როდია ნათქვამი.**

**აზერბაიჯანის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგ ტურში ბაქოს „ინტერმა" ლენქორანში „ხაზარს" ბაჩანა ცხადაძის მიერ გატანილი ერთადერთი გოლით სძლია — 1:0, მაგრამ სწორედ ეს ზუსტი დარტყმა გამოდგა კინაღამ საბედისწერო მამამისისთვის.**

**მოვლენათა ასეთი განვითარებით აღშფოთებულმა მასპინძელთა ერთ-ერთმა ვაიქომაგმა „ორთქლის გამოსაშვებად" ტრიბუნიდან ქვა მეტოქის სათადარიგოთა სკამისკენ ისროლა და, თქვენ წარმოიდგინეთ, პირდაპირ კეფაში უთავაზა კახი ცხადაძეს.**

**ტვინის შერყევა და რამდენიმედღიანი წოლითი რეჟიმი — ასეთია მედიკოსთა ვერდიქტი.**

**ხიფათი წყალში**

# მსოფლიო რეკორდი ყვინთვაში

**პოლონელმა წყალში მყვინთავმა კშიშტოფ სტარნავსკიმ ეგვიპტეში წითელ ზღვაში დაამყარა მსოფლიო რეკორდი ღრმა წყალში ყვინთვაში დახურულ წყალზე.**

საკუთარი ხელით დამზადებულ განსაკუთრებული აკვალანგით — რებრიზერით, რომელშიც გამოყენებული ჰაერი გადამუშავდება და ისევ უკან ბრუნდება, პოლონელმა ჩაალწია 283 მეტრიან სიღრმეს. ჩაყვინთვა-ამოყვინთვას 9 საათი დასჭირდა.

როგორც თავად რეკორდსმენმა განაცხადა, 100 მეტრზე ჩაყვინთვის შემდეგ მყვინთავი მშველელს აღარ უნდა ელოდოს. ჩაყვინთვა პრობლემა როდია, ის სწრაფად ხდება — რამდენიმე წუთში. სიღრმიდან დაბრუნებას კი რამდენიმე საათი სჭირდება, ეს ყველაზე რთული საქმეა.

ამ სახეობაში ბოლო რეკორდი დაამყარა ავსტრიელმა დევიდ შავომ 2004 წელს და ის 270 მეტრი იყო. იქ მყვინთავმა აღმოაჩინა ადრე დაღუპული კოლეგის გვამი. 2005 წელს მან სცადა გვამის ზემოთ ამოტანა, მაგრამ შემდეგ თვითონ გრძნობა დაკარგა და გარდაიცვალა.



**ინტერნეტიდან**

## 4,5 მილიარდი მაყურებელი




**ფეხბურთში 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ მატჩებს ნახავს 4,5 მილიარდი მაყურებელი.** ასეთ გაანგარიშებაზე, პროგნოზზე და მოსალოდნელობაზე იმსჯელა კიევში გამართულ პრესკონფერენციაზე მარკეტინგში უეფას დირექტორმა გილორან ეპშტეინმა. კონტინენტის უკრაინულ-პოლონური პირველობის ტელეაუდიტორია მთელ ისტორიაში რეკორდული იქნება.

## საუკეთესო ფეხბურთელი — პრემიერ-მინისტრი

**ჩვენი გაზეთი უკვე წერდა („სრ" 2.12.2011ძ, რომ ბულგარეთის პრემიერ-მინისტრი ბოიკო ბორისოვი ფეხბურთის გულშემატკივრებმა პირველ ადგილზე დაასახელეს ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელის წოდების კანდიდატთა შორის. საბოლოოდ მისი პირველობა 20 კანდიდატს შორის ჟურნალისტებს უნდა გადაეწყვიტათ.**



და აი, ცნობილი გახდა, რომ პრემიერი ნამდვილად აღიარეს ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად, მაგრამ მან მოუწოდა გამოკითხვის ორგანიზატორებს, რომ გაეუქმებინათ მისი შედეგები.

აღსანიშნავია, რომ ბორისოვი ხანდახან თამაშობდა მე-3 დივიზიონის კლუბ „ვიტოშაში". მან ხმების 44 პროცენტი მიიღო და 20 პროცენტით გადაასწრო ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელ დიმიტარ ბერბატოვს. „კენჭისყრა გახდა პროტესტად, — უთქვამს პრემიერ-მინისტრს სპეციალურ განცხადებაში, — ეს ხმები მისცეს ბორისოვს, როგორც საუკეთესო ფეხბურთელის, მხარდასაჭერად კი არა, არამედ იმის დასამტკიცებლად, რომ ბულგარულ ფეხბურთს რეფორმები და განვითარების ახალი პოლიტიკა სჭირდება. ვურჩევ ორგანიზატორებს, პრიზი გადასცენ საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელს".

უნდა აღინიშნოს, რომ ბორისოვისა და ბერბატოვის შემდეგ გამოკითხვაში მესამე ადგილი დაიკავა სამოყვარულო კლუბის „შიპკას" წარმომადგენელმა.

## ანდრეა არ მოიწყენს

**ლამაზმანი ანდრეა რინკონი უფრო გალამაზდა. თუმცა ეს ძნელი დასაჯერებელია, თუ მის გამოსახულებას კარგად არ შევხედავთ. როგორც თავად ქალიშვილი ამტკიცებს, მან პრაქტიკულად მიაღწია იდეალს. ეს პირველ რიგში დუნდულებს ეხება, რაზეც ანდრეა დიდხანს მუშაობდა.**



„20 დღე დაჯდომა არ შემეძლო, მაგრამ ეს ამად ღირდა" — თქვა ლამაზმანმა. რბილ ადგილებზე პლასტიკური ოპერაციის შემდეგ თავისი ახალი ფორმებით ანდრეა აღტაცებულია და გათხოვებასაც აპირებს, მაგრამ საქმროს უფრო გულდასმით შეარჩევს.

ადრე სამხრეთამერიკული პრესა კოლუმბიელ ლამაზმანს არგენტინელ ლიონელ მესისთან აკავშირებდა, თუ ჭორებს დავუჯერებთ, აშშ ყოფილმა პრეზიდენტმა ბილ კლინტონმა სწორედ ანდრეა აირჩია თავის პარტნიორად სტრიპ-ცეკვაში. ისე რომ ანდრეას თავისი მომავალი თანამგზავრის დიდი არჩევანი ექნება.

**◉ როცა რეზო ადამიას წიგნს ვკითხულობ**

# კოსმოსური გოდების პოეზია

**ინდოთა სიბრძნე:
„თუ გწამს, თუ გიყვარს,
თუ იტანჯები,
შენ ადამიანი ხარ“.**

არსთა გამრიგემ ტერენტი გრანელს ამ სამებასთან ერთად დიდი შემოქმედებითი ნიჭიც უბოძა.

ამ მართლაც ტანჯული ხელოვანის შემოქმედებაზე არაერთი ნაწარმოები დაწერილა, ვფიქრობ, მათ შორის გამორჩეულია მხატვრისა და მწერლის რეზო ადამიას უმშვენიერესი წიგნი: „უკვდავება სიკვდილში“, რომელიც მკითხველს დიდი პოეტის კიდევ ერთ, ბევრისთვის უცნობ ტალანტზე, მხატვრობაზე გვესაუბრება, გვაცნობს გრანელის გრაფიკულ შედევრებს.

ეს არ არის მხოლოდ გამოკვლევა, მხოლოდ ნაშრომი დიდოსტატზე. ეს უფრო სულთა დიალოგია, ორ ხელოვანს შორის გადებული ფიქრის ხიდია იმიერ და ამიერ სამყაროს შორის, „მსოფლიო სევდის ცეცხლით განათებული“ ხიდი. ტერენტის „კოსმიური გოდების პოეზიას“ მიყურადებული რეზო ადამია მკითხველს ასე ესაუბრება: „გრანელის ნახატების უხილავი არტერიიდან ცრემლი მოდის გამოუცნობი შემადგენლობის...

ისევ და ისევ გაკვირვებულ-აღტაცებული ჩავკირკიტებ ტერენტის რამდენიმე ნახატს და ვფიქრობ, გრანელი რითია ნაკლები ფერნანდო ლე ჟეზე, მალევიჩზე?“

რეზო ადამიას ამ სტრიქონების კითხვისას უფრო მეტი გულისყურით ვაკვირდები ტერენტის გრაფიკულ ნამუშევრებს, უცნაურ ხაზებში გახლართულ ტკივილებს, მახსენდება პოეტის სტრიქონები:

**„ვერ გავარღვიე ბოროტების
შავი რკალები“...**

და ისეთი განცდა მეუფლება, თითქოს სიტყვააფორიაქებულმა გრანელმა ამ ხაზებით სცადა სწორედ შავი რკალებიდან თავის დაღწევა, გაქცევა იმ უცნაურ, კოსმიურ სამყაროში, სადაც „არც სიკვდილია, არც სიცოცხლე, არამედ რაღაც სხვა“...

**მაყვალა გონაშვილი**

**რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.**

**◉ შეუცნობელი**

# ახალგაზრდა ბებრები



**მსოფლიო მასმედიის საშუალებები აქტიურად განიხილავენ უნიკალურ შემთხვევას: რამდენიმე დღეში 23 წლის ვიეტნამელი მომხიბლავი ახალგაზრდა... უშნო ბებერ ქალად გადაიქცა! ვიეტნამელი მედიკოსები ეჭვობენ, რომ ქალის ასე უცბად დაბერების მიზეზი ხალხური მედიცინა გახდა, რომლის მეშვეობით ნგუენ თხი ფუონგი ალერგიისგან განკურნვას აპირებდა. ახლა კი ნგუენს ერთი საზრუნავი აქვს – როგორმე ახალგაზრდობა და სილამაზე დაიბრუნოს, მისი გამოცანის ამოხსნას კი მსოფლიოს წამყვანი მედიკოსები ჯერჯერობით ამაოდ ცდილობენ...**

...ერთი შეხედვით, ეკატერინე ჩვეულებრივი ქალიშვილია – თხელი ტანი, ბავშვური სამოსელი. ზურგიდან რომ შეხედავს კაცი, ვერაფერს შეატყობს, მაგრამ როცა იგი მოტრიალდება, გაოცებას საზღვარი არ აქვს: მას ბებერი ქალის ნაოჭებით დაღარული სახე აქვს! ასაკს მხოლოდ ნათელი თვალებით თუ მიხვდება კაცი. საშინელი სანახავია ეს 16 წლის მოზარდი, რომელსაც ნაადრევი დაბერების სინდრომისგან ასეთი ასაკისთვის შეუფერებელი სახე აქვს. ეს ავადმყოფობა კი მას დაბადებიდან აქვს შეყრილი.

დედასთან ერთად ეკატერინემ მთელი რუსეთი მოიარა იმ კლინიკის ძებნაში, სადაც მას დაეხმარებოდნენ. ახლა ისინი მოსკოვში არიან, სადაც ქალიშვილს პირველი პლასტიკური ოპერაციისთვის ამზადებენ.



– იმის გამო, რომ დაავადება თანდაყოლილი მაქვს, დიდი განცდები ამის გამო არასდროს მქონია, – ამბობს ეკატერინე. – მარტო სახე მიბერდება, ტანი კი ჩვეულებრივი, ასაკის შესაფერისი მაქვს. ოჯახში უფროსი შვილი ვარ, მყავს სავსებით ნორმალური და-ძმა. რომ გამაჩინა, დედამ თავდაპირველად ვერაფერი შემატყო, მაგრამ სახლში რომ მომიყვანეს, ბებიამ უთხრა: „დააკვირდი, შვილო, ბავშვს რაღაცნაირი სახე აქვს!..“ ექიმებთან ერთი წლიდან დავყავარ, მაგრამ ვერავინ ვერაფერს მშველის. მე ვიზრდებოდი, სახე მიბერდებოდა. სკოლაში რომ წავედი, მაშინღა დავიწყე იმის აღქმა, რომ სხვებისგან განვსხვავდები, ამიტომ თავს ვაკვირდებოდი, დედას ვეკითხებოდი – რა მჭირს-მეთქი... ჩემი სენის შესახებ პირველად მაშინ შევიტყვე.

დედა მუდამ მამშვიდებდა, მეც ავადმყოფობასთან შეგუებას ვცდილობდი. ახლა ვხუმრობ კიდეც – უნიკალური ადამიანი ვარ-მეთქი, ჩემნაირი დედამიწაზე კიდევ მხოლოდ ოცი კაცია.. ახალ ურენგოიში, სადაც ოჯახთან ერთად ვცხოვრობ, ყველანი მიცნობენ, ყველამ იცის, რომ სახესთან დაკავშირებით პრობლემები მაქვს. აი, სხვაგან რომ მივდივარ, მაშინ კი ვამჩნევ, რომ ყურადღებით მაკვირდებიან. უფრო პატარა რომ ვიყავი, ყველაფერი უფრო ცუდად იყო: ხალხი მხედავდა, რომ ბავშვივით მაცვია, სახე კი მოხუცი ქალისა მაქვს. ტანიც კარგი მაქვს, ყოფილა ბიჭებს ზურგიდან დაუძახიათ ჩემთვის, მაგრამ რომ მომიხედავს... გამიგებთ, ალბათ!..

თუმცა იმის თქმაც შემიძლია, რომ ახალ ურენგოიში არიან ახალგაზრდა ბიჭები, ვისაც ძალიან მოვწონვარ. ბოლოს და ბოლოს ადამიანში მთავარი ხომ სულია...

სპეციალისტების თქმით, ეკატერინეს უიშვიათესი დაავადება სჭირს, რომელსაც ნაადრევი დაბერების სინდრომი სახის ქსოვილთა დაზიანებით ეწოდება. მისი შინაგანი ორგანოები და სხეული ქალიშვილის ფიზიოლოგიური ასაკის შესაბამისად ფუნქციონირებენ. კლინიკა „ბიუთი პლაზაში“, სადაც ეკატერინეს ოპერაციას გაუკეთებენ, აცხადებენ, რომ სნეულების გამკლავება ძნელია, მაგრამ შესაძლებელი. ავადმყოფს სისხლის ცუდი შედედება აქვს, ქსოვილები – ჩვეულებრივზე უფრო ხისტი, რაც ოპერაციას უფრო რთულს ხდის. მაგრამ მსგავსი ოპერაციები იქ უკვე გაუკეთებიათ, ამიტომაც წარმატების იმედიც აქვთ.

**დალი ხუნდაძე**

## დამაკვირდი...

**„ჩემი განზრახვა საქართველოში ჩამოსვლაზე ზეგარდმო მადლით იყო შთაგონებული, ეს ნაბიჯი ღმერთმა გადამადგმევინა და მხურვალედ ვწირავ მადლობას უფალს: ვგრძნობ, საქართველოში უკეთესი გავხდი“.**

**(ლევ ტოლსტოი)**

**„ბაყაყები კავკასიაში ისეთ ხმას გამოსცემენ, რასაც არაფერი აქვს საერთო რუსული ბაყაყების ყიყინთან“.**

**(ლევ ტოლსტოი)**

**„სადაც არ არის მტერი, იქ გამარჯვებაც არ არის“.**

**(ბალზაკი)**

**„შენ არა გიშავს რა, ქართველს ჰგავხარ და საკმაოდ ლამაზი ხარ“.**

**(ივან ბუნინი)**

**– ქრთამის საკითხში როგორია იგი?
– რას ბრძანებთ, ის არასოდეს არაფერს იღებს.
– სისულელეს ნუ მეუბნებით: ასეთი კაცი მთელ რუსეთში არ არის“.**

**(ნიკოლაი ლესკოვი)**

**„ძალდატანების საკრავით „თავისუფლების სიმღერას“ ვერ შეასრულებ“.**

**(სტანისლავ ეჟი ლეცი)**

**„დიდკაცი თუ გამოგვერია, ისე დავკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები“.**

**(კონსტანტინე გამსახურდია)**

**„მე სომხებთან და ქართველებთან ჩემი დამოკიდებულების ასეთი ფორმულირება მაქვს: ქართველი მიყვარს, სომეხს კი პატივსა ვცემ“.**

**(სერგი რასკინი)**

**„თურქ მესხებს“ დიდი დავა აქვთ „სომეხ მესხებთან“, ნამდვილი მესხი ზის და ფიქრობს: „რომელს შერცხვება?!“**

**(ოთარ შალამბერიძე)**

შეარჩია
**რევაზ ტყემალაძემ**

**◉ ჩვენი კარაბადინი**

# ნუ წელავ რეზინს!

**რეკლამამ საღეჭი რეზინი ლამის კბილის პასტას გაუთანაბროს. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ იგი წინააღმდეგობას უწევს კარიესის განვითარებას. მაგრამ რეკლამა დუმს საღეჭი რეზინის სხვა ეფექტების შესახებ, რომლებიც ხშირად თანამდევია (გვერდითი მოვლენააძ.**

### გონების ტანვარჯიში

**პირშიც კი იგი არა მხოლოდ გვიცავს კარიესისგან, არამედ ანგრევს იმას, რაც იქ სტომატოლოგებმა შექმნეს – პლომბებს, გვირგვინებს, ხიდებს. მაგრამ ბოლო ხანებში საღეჭ რეზინს აღმოუჩინეს რამდენიმე სასარგებლო ეფექტი. ის, თურმე, გვეხმარება უფრო სწრაფად გამოვჯანსაღდეთ მსხვილ ნაწლავზე ოპერაციის შემდეგ. ამას საკვების გადამუშავების სისტემის გააქტიურებით ხსნიან.** მაგრამ ყველაზე საინტერესოა ის, რომ საღეჭი რეზინი კარგი საშუალებაა სტრესის დროს. ის გვეხმარება დავმშვიდდეთ და გავაუმჯობესოთ ყურადღების კონცენტრაცია და დამახსოვრებაც კი. „ეს ამ ცოტა ხნის წინათ დაადასტურეს ინგლისელმა მეცნიერებმა ნორტუმბრიის უნივერსიტეტიდან, – ამბობს ფსიქოანალიტიკოსი ალექსანდრ გენზელი. – მაგრამ ეს ახალი ამბავი როდია ფროიდის მიმდევრებისთვის. საღეჭი რეზინი ასრულებს „ტრენაჟორის“ როლს, რომელიც საშუალებას



გვაძლევს კვლავ განვიცადოთ ჩვენი ცხოვრების ნეტარი წუთები, როდესაც ჯერ კიდევ დედის რძით ვიკვებებოდით. ხალხი ეთიშება განგაშს და ამიტომ უკეთ სწავლობს. მაგრამ ძნელად რომ საღეჭმა რეზინმა ყველა ფრიადოსანი გახადოს. ეს მეთოდი უფრო ეფექტიანად მოქმედებს ფსიქიკის ინფანტილური ტიპის დროს“.

### ბედის ირონია

**ჩვენ უკვე აღარ გვეშინია, რომ ყოველ შეფუთვას აწერია: „აქვს საწინააღმდეგო მაჩვენებელი ფენილკეტონურიით ავადმყოფებისთვის“ – ასეთი ავადმყოფები ცოტაა. მაგრამ ამ ცოტა ხნის წინათ გაჩნდა გაფრთხილება: „ფეხმძიმე და ძუძუს ბავშვიანი ქალებისთვის არ არის რეკომენდებული“.**

„ეს ძალიან სერიოზულ პრობლემებზე მეტყველებს, – მიაჩნია ექიმ დიეტოლოგს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს ალექსანდრ მილერს, – რომლებიც დაკავშირებული არიან პროდუქტების უსაფრთხოებასთან: რატომ არის, რომ ნივთიერება, რომელსაც შეიცავს საღეჭი რეზინი, სასმელები და სხვა პროდუქტები, და მრავალი წელია მედიკოსების ეჭვს იწვევს, იყენებენ ასე მეტად ფართოდ? რატომ არ არიან მისგან დაცული ფეხმძიმე ქალები და პატარა ბავშვები? საკითხი შეეხება ასპარტამს. ამ გამატკბობელს სკანდალები თან ახლავს გამოგონების მომენტიდან – 1965 წლიდან. ასპარტამს დიდხანს არ ატარებდნენ რეგისტრაციაში და მისი წინწაწევა შეძლო მხოლოდ 1980 წელს დონალდ რამსფელდმა, რომელიც კარგად არის ცნობილი, როგორც „ქორი“ და უმცროსი ბუშის უახლოესი თანამებრძოლი. უკანასკნელ ხანებში ევროკავშირის პარლამენტი აქტიურად განიხილავს შაქრის ასპარტამით შეცვლილ პროდუქტებს. მათზე სურთ გააკეთონ გაფრთხილება, მაგრამ გამატკბობელის მწარმოებლები ამას ყველანაირად უწევენ წინააღმდეგობას. არ არის გამორიცხული, რომ დეპუტატები გაიმარჯვებენ – 2010 წლის ბოლოს დანიელი მეცნიერების უზარმაზარ გამოკვლევაში, რომელშიც 50 ათასი ფეხმძიმე ქალი მონაწილეობდა, ხომ იქნა დადასტურებული, რომ შაქრის ამ შემცვლელის გაზიანი სასმელების მოყვარულ ფეხმძიმე ქალებში ვადამდელი მშობიარობა არსებითად უფრო ხშირი იყო. მიზეზი? ასპარტამის ორგანიზმში დაშლის დროს წარმოიქმნება ორი ამინომჟავა – ასპარაგინი და ფენილალანინი, აგრეთვე ერთი მეტად სახიფათო სპირტი – მეთალონი. მისი კონცენტრაცია ითვლება მავნედ ნაყოფის განვითარებისთვის. თანაც მეთანოლი გარდაიქმნება კონცეროგენულ ფორმა – დეჰიდად.

მაგრამ ეს ერთადერთი პრეტენზია როდია ასპარტამისადმი. ჯერ კიდევ 1960-იან წლებში ამერიკელმა ნევროლოგმა ჯონ ოლნიმ დაადასტურა ასპარაგინისა და კიდევ ერთი ამინომჟავის – გლუტამატის (საკვები დანამატი, რომელიც აძლიერებს გემოსძ საფრთხე. შემდეგ მან აღმოაჩინა უკსაიტოტოქსიკურობის მოვლენა: ნერვული უჯრედების კვდომა, რაც გამოწვეულია ამ ნივთიერების მიერ. ოლნის აზრით, ისინი განსაკუთრებით საშიშია განვითარებადი ტვინისთვის, მაშასადამე, ორსულობის დროს და შემდეგ ყრმობამდე. ყველაზე კრიტიკული პერიოდი კი ფეხმძიმობის უკანასკნელი 3 თვე და სიცოცხლის პირველი 4 წელია. გარეგნულად ასეთი ბავშვები აბსოლუტურად ნორმალურები არიან, მაგრამ მათ უჭირთ სწავლა და ძნელად რომ მათ იბრწყინონ თავიანთი ნიჭით. მათ შეიძლება ჰქონდეთ ნეიროენდოკრინული ცვლილებები, რომლებიც ხელს უწყობენ სიმსუქნეს. ასე რომ, მომავალი დედები ფრთხილად უნდა იყვნენ საღეჭ რეზინთან და პროდუქტებთანაც საერთოდ.

## საღეჭი რეზინის თანამდევი ეფექტები

1. საღეჭი კუნთების ზედმეტად განვითარება.
2. ნაწლავური გაუვალობა ან მყარი შეკრულობა იმ ბავშვებში, ვინც რეზინი გადაყლაპა.
3. საფეთქელ-ქვედა ყბის სახსრის სინდრომი (ანთება და ტკივილი).
4. პლომბების, ხიდების, გვირგვინებისა და სხვა სტომატოლოგიური კონსტრუქციების დაშლა.
5. ორგანიზმში ვერცხლისწყლის დონის გადიდება იმ პირებში, ვისაც ამალგამის პრობლემები აქვს.
6. აეროფაგია – ჰაერის ჩასუნთქვა ღეჭვის დროს (ხშირად არის ბავშვებში, ვლინდება მუცლის შებერვაში, ბოყინით და კუჭის წვით).
7. ტრაქეის გაუვალობა – საღეჭი რეზინის მოხვედრა სასუნთქ გზებში.

**და ლეილა, სიძე ზურაბი, დისწულები დარეჯან, ნინო, ქეთევან, ფატი, თინათინ ძოწენიძეები ოჯახებით იუწყებიან**

**გივი (ბუჭუ)
ალექსანდრეს ძე
ხუსკივაძის**

**გარდაცვალებას. გამოსვენება, 10 XII, 14 სთ. მისამართი: საბურთალოს ქ. №67.**

---

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, თვალსაჩინო ქართველი მათემატიკოსი**

**გივი (ბუჭუ)
ხუსკივაძე**

**და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

**◉ ინფორმაცია**

## კაპიტანმა ჯარიმა გადაიხადა

**ნიდერლანდების დროშით მცურავი მშრალტვირთმზიდი გემ JORVIK-ის კაპიტანმა, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ვიქტორ შარაპოვმა ზღვის დაბინძურების გამო (ფეკალური მასების ჩაღვრა ზღვაში), ბიუჯეტის სასარგებლოდ მასზე დაკისრებული 72 ათას 700 ლარის ჯარიმა გადაიხადა, რის შემდეგაც გემს თავისუფალი ნაოსნობის უფლება მიეცა.**

ХО-ЭОВ-ЭБО

მიმართვა მკითხველისადმი

# ჩვენ ერთმანეთი უნდა გადავარჩინოთ გაჯიხურებულ-გაჯახირებული ხელისუფლებისგან

დღეს, როცა ხელისუფლება საგაზეთო ჯიხურებს დაერია და ბეჭდური მედიის გავრცელება სრულიად გამიზნულად(!!!) კიდევ უფრო შეიზღუდა, განსაკუთრებული ფასი დაედო გაზეთებზე ხელმომწერთა სიმრავლეს.

ტრადიციული პრესის, თქვენთვის სასურველი ნებისმიერი გაზეთის ბედი ახლა თქვენს აქტიურობასა და თანადგომაზეა დამოკიდებული. ყველაფერთან ერთად, ეს ჩვენი საერთო პრესტიჟის საქმეცაა — ქართული პრესის მოძულე ხელისუფლება ოპოზიციური, პრინციპული, სამართლიანი გაზეთების დამცრობა-გაკოტრებით არ უნდა გავახაროთ!



მრავალრიცხოვანი ხელმომწერი, ბევრი გონიერი მკითხველი ჩვენი სულიერი და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება-გაჯანსაღების აუცილებელი პირობაა.

„საქართველოს რესპუბლიკა“ თითქმის საუკუნოვანი (გამოდის 1918 წლიდანძ გამოცემაა და თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის, ეროვნული ღირსებისა და ცნობიერების გადარჩენისთვის მებრძოლი გაზეთია!

იგი ჩვენი უახლოესი წარსულისა და დღევანდელობის მართალი მატიანეა.

პოლიტიკა, ეკონომიკა, სოციალური ყოფა, კულტურა და სპორტი, ღირსეულ ადამიანთა პატივგება, სატირა და იუმორი... „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე ყველაფერია, რაც კი ჟურნალისტის კალამმა შეიძლება შექმნას.

განსაკუთრებული ჟამი გვიდგას. ამიტომაც, ვისაც ჯერ კიდევ არ გამოგიწერიათ „საქართველოს რესპუბლიკა“, შეგახსენებთ, რომ 2012 წლისთვის უამგაზეთოდ არ დარჩეთ. თითოეულ ქართულ ოჯახს, სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებს, უნივერსიტეტებსა და სკოლებს, ყველას, შეუზღუდავად შეგიძლიათ გამოიწეროთ ჩვენი გაზეთი და მთელი წლის განმავლობაში შეუფერხებლად ითანამშრომლოთ „საქართველოს რესპუბლიკასთან“.

**შეგახსენებთ იმ გამავრცელებელ ორგანიზაციებს და მათს ტელეფონის ნომრებს, რომლებიც დაუბრკოლებლად გამოგიწერენ ყოველდღიურ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“: მაცნე — 2 37 61 53; პლანეტა ფორტე — 2 93 38 75; საქპრესა — 2 51 59 05; პრეს-ექსპრესი — 2 96 23 11; ჯეომედია — 2 95 51 70; ელვასერვისი — 2 38 80 02; ინფო-2007 — 2 34 11 40; პრესა+ — 2 14 23 97; პილონი — 2 34 77 43.**

**რაიონებში ხელმოწერის გაფორმება შეგიძლიათ პრესის გამავრცელებელ ნებისმიერ ორგანიზაციაში.**

**ხელმოწერის ფასია 10 ლარი — ერთი თვით, 30 ლარი — სამი თვით, 60 ლარი — ექვსი თვით, 120 ლარი — ერთი წლით.**

ჩვენ ერთმანეთი უნდა გადავარჩინოთ და გაზეთი ავაღორძინოთ!

**გამოიწერეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ — თქვენი უპირველესი მეგზური და მეგობარი!**

**ხელმოწერა დაუბრკოლებლად შეგიძლიათ გააფორმოთ უშუალოდ რედაქციის ოფისში — გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. №19. ტელეფონი: 2 99 62 77.**

ჩვენო ძვირფასო მაღალგემოვნებიანო მკითხველო, ვინც „საქართველოს რესპუბლიკას“ ენდობი

მიდი, ჯიხურში ყოველდღე
ჩვენი გაზეთი იკითხე,
თუ ჭურში ჯდომა არ გინდა,
შეიძინე და იკითხე!..

ხოლო გამოწერა თვეში სულ 10 ლარი დაგიჯდება, სამაგიეროდ ყოველ დილით ცინცხალ ნომერს მიიღებ!..

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“ გ. ახვლედიანის ქ. №19. 99-62-77; 599 32-85-76.

ვულოცავთ!

## ზამთრის ლამაზი დღე რეზო ჩხეიძისა



დღეს ბატონი რეზო ჩხეიძე 85 წლისაა, რეზო ჩხეიძე — სახე და სიქადული ქართული კინემატოგრაფიული სკოლისა, რეზო ჩხეიძე — ბრწყინვალე ფილმების ავტორი, გამორჩეული თავისი მამულიშვილობით, თავისი სულიერებით, შეურიგალი — ერის დამცრობასთან, საქართველოს შინაურ თუ გარეშე მტრებთან... რეზო ჩხეიძე — პედაგოგი და დამრიგებელი ქართველ კინემატოგრაფთა მრავალი თაობისა...

იცოცხლეთ, ბატონო რეზო!.. თქვენისთანა ხელოვანით, თქვენისთანა ერისკაცით ახალ, მშფოთვარე საუკუნეში, მრავალჯერ ინატრებს საქართველო!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია გილოცავთ ღირსეულ საიუბილეო თარიღს!

ცნობისმოყვარეთათვის

## სად, რა, როდის?

● გენერალი მორო ბრძოლის წინ, ძლიერი ხმა რომ ჰქონოდა, თოხლო კვერცხს ყველა სახის საკვებს ამჯობინებდა.

● მწერალი ო' ჰენრი შობის წყალობით გახდა ცნობილი. მაშინ ის უილიამ სიდნეი პორტერი იყო, უფრო სწორად, ამერიკის ერთ-ერთი ციხის პატიმარი № 34627. მას ქალიშვილი ჰყავდა, რომლისთვისაც ძალიან უნდოდა საშობაო საჩუქრის მირთმევა, ფული კი არ ჰქონდა და გადაწყვიტა, ბედი ეცადა. დაწერა მოთხრობა, ხელი მოაწერა სახელით, რომელიც პირველად მოუვიდა თავში — ო' ჰენრი და ერთ-ერთ ჟურნალში გაგზავნა. მოთხრობა გამოაქვეყნეს. ჰონორარი და საშობაო საჩუქარი ქალიშვილმა მიიღო, თვით პატიმარი კი სულ მალე ცნობილი მწერალი გახდა.

● ფრანგი რიშარდონი XIX საუკუნეში წერდა კულინარიაზე: „ეს, ერთი მხრივ, არის ხელოვნება, მეორე მხრივ, მეცნიერება, რომელიც მოიცავს ქიმიას, ფიზიკასა და ბუნებისმეტყველებას“.

● ნიკოლაი კოპერნიკი, ანდრეი ბელი, ფრედი მერკური და ყველანი მხოლოდ ფსევდონიმებია.

● უცნაურია, მაგრამ როგორც ამბობენ, იტალიელმა კომპოზიტორმა როსინიმ ცხოვრებაში სულ სამჯერ იტირა: როდესაც ოპერა დაუწუნეს, როცა შემწვარი ინდაური წყალში ჩაუვარდა და მესამედ, როცა ნიკოლო პაგანინს მოუსმინა.

მოგვაწოდა
ტიტე კოპალეიშვილმა

კადრი



ანეკდოტები

რუსეთში ჩატარებული არჩევნების შემდეგ დავით კოპერფილდმა აღიარა, რომ საუკეთესო ფოკუსნიკების კონკურსზე მას არანაირი შანსი არ ექნება „ერთიანი რუსეთის“ წინააღმდეგ.

* * *

ჩატარებული არჩევნების შედეგებით ვლადიმერ პუტინი თითქმის ერთხმად არის არჩეული კავკასიის, რუსეთის ფსიქიატრიული საავადმყოფოების კავშირის და მეხანძრეთა მეგობრების საზოგადოების პრეზიდენტად.



საარჩევნო პროცესების მოდერნიზაციის, ნანოტექნოლოგიათა გამოყენების და კონკურენტუნარიანი პოლიტიკური გარემოს შექმნის წყალობით ვორონეჟის ოლქში ალინუსხა ამომრჩეველთა 130-პროცენტიანი აქტიურობა, როსტოვის ოლქში — 147-პროცენტიანი. დანარჩენი რეგიონების ხელმძღვანელებს, რომლებმაც დროის მოთხოვნებს ფეხი ვერ აუწყვეს, ელით განთავისუფლების საშიშროება.

* * *

„ერთიანმა რუსეთმა“ მორიგი გამარჯვება მოიპოვა კარუსელებისა და ჩატენვის ჩემპიონატში.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოძულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24